645
1966 /2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ოქტომბერი
№ 10 1966 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა

მუსიკა დინარა ჯანდიერისა                სიტყვები ნინო რამიშვილისა




1. საფიქრად და საოცნებოდ,
სიხარული დაგებედა,
ჩემს სიმაღლეს ცას უტოლებ,
ჩემს მომავალს მზესთან ხედავ.

მისამღერი: ჩემო დედა, ჩემო დედა...

2. პირველ დარდს და პირველ ტკივილს
სხვას ხომ არვის გავუმხელდი!
როცა შენი უწმინდესი
მწამდა სიტყვა და იმედი.

მისამღერი: ჩემო დედა, ჩემო დედა...

3. ბევრჯერ ნაზი ზრუნვით დაღლილს
ღამე თეთრად დაგათენდა,
მოციმციმე ვარსკვლავებში
მე შენს კეთილ თვალებს ვხედავ.

მისამღერი: ჩემო დედა, ჩემო დედა...



ხერთვისის ციხე

გრავიურა ლ. შენგელიასი

10.053



# ხუთი ოქროს მედალი

თბილისში გამართულ ღვინოების, კონიაკისა და შამპანური ღვინოების საერთაშორისო კონკურსზე, რომელშიც 27 სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას, გურჯაანის ღვინის ქარხანამ დიდი წარმატება მოიპოვა. გურჯაანში დაძველებულმა ღვინოებმა ხუთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. კონკურსის დროს კახური ღვინოების ძვირფას თვისებებზე ერთხმად ალაპარაკდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ჟიურის წევრები. საფრანგეთის ეროვნული კომპანიის „პინო დე შარანტის" პრეზიდენტმა მიშელ კამიუმ კი გურჯაანში კახური და ევროპული წესით დაყენებული სამარკო ღვინოები საუკეთესოთა შორის დაასახელა.

გურჯაანის ღვინის ქარხანა უძლიერესი ღვინის მწარმოებელი საწარმოა. იგი კახეთის მრავალი რაიონიდან იღებს სახელგანთქმული რქაწითელის, საფერავის, მწვანის და კაბერნეს (ფრანგული ჯიშია, რომელიც მშვენივრად ხარობს ჩვენში) ჯიშების ყურძენს, რისგანაც მაღალხარისხოვან სამარკო ღვინოებს ამზადებს.

ქარხანაში ღვინოს ორგვარი წესით აყენებენ. პირველ წესს კახური ჰქვია და მამა-პაპათა მიერ უხსოვარ დროს შემუშავებულ ტრადიციას მისდევს (ჭაჭა, დურდო და ყურძნის წვენი ერთად დუღს). მეორე წესს ევროპულს უწოდებენ. ამ წესით ღვინის დაძველება სამ წელს გრძელდება.

ევროპული წესით ღვინის სამწლიანი დაძველება რთული და შრომატევადი პროცესია. პირველ წელს ერთნაირი ღვინო-მასალების გაერთიანებას, ხელოვნური საშუალებებით დაწმენდას, გაფილტვრასა და გადაღებას ახდენენ. მეორე წელს გენერალურ კუპაჟს ადგენენ, სხვადასხვა გამწმენდავი საშუალებებით ღვინო-მასალებს ამუშავებენ, ფილტრავენ და ინახავენ. მე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამე წელს ხდება ღვინის ორჯერ გადაღება და გაჯავშნა.

ამ საქმეს ქარხანაში მამაკაცებთან ერთად ქალებიც უძღვებიან. მათ აქვთ თავიანთი სამსართულიანი მიწისქვეშა სამყარო, რომლის ლაბირინთებში უცხო კაცს მარტოს უთუოდ გაუჭირდება გზის გაგნება. აქ საოცარი სისუფთავე და წესრიგია, მიუხედავად იმისა, რომ განთიადიდან დაღამებამდე არ წყდება ადამიანთა მიმოსვლა, ღვინოების მომვლელ ქალთა ფუსფუსი.

... სარდაფის პირველ სართულზე შავებში ჩაცმულ თავსაფრიან დედაკაცს ვხვდებით. ღვინით სავსე სპილენძის თუნგი უჭირავს ხელში და მტკიცე ნაბიჯით მოაბიჯებს.

— ეს ბაბალე ზარდიაშვილია, — გვეუბნება ჩვენი მეგზური, ქარხნის მთავარი მეღვინე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ქუმსიაშვილი. ბაბალეს მოვლილმა გურჯაანულმა № 3 ოქროს მედალი დაიმსახურა კონკურსზე. მივესალმეთ ბაბალეს, ვთხოვეთ რაიმე ეთქვა თავის მუშაობაზე. უხერხულობა იგრძნო. თავსაფარი გაისწორა. ლაპარაკის დაწყების ნაცვლად კეთილად გაიღიმა და ისევ დუმილი არჩია.

— დიდი ხანია მუშაობთ ქარხანაში?

— შვიდი წელია. პენსიაზე გასვლამდე კოლმეურნეობაში ვიყავი. ომი იყო და ჩვენი კაცები ჯარში წავიდნენ, სოფელში ჩვენ-ღა დავრჩით, ქალები. ომამდე მეაბრეშუმეობის ბრიგადას ვხელმძღვანელობდი, მერე კოლმეურნეობის საწყობი და პარტორგანიზაცია ჩამაბარეს. კაცები რომ დაბრუნდნენ, მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელობა დამავალეს. შემდეგ კი აქ მოვედი.

— მარო, ვენერა, ნათელა! — გასძახა ბაბალემ თავის თანამოსაქმეებს და მათზე დაგვიწყო ლაპრაკი.

— რაიონული საბჭოს დეპუტატის მარო ქუმსიაშვილის სურათი ხუთი წელია საპატიო დაფიდან არ ჩამოუხსნიათ. ვენერა ლუის მამა ორმოცდაათი წელია საქართველოში ცხოვრობს. ვენერა აქ არის დაბადებული და ოჯახიც ქართული შექმნა. იგი წინათ კონიაკისათვის სპირტის გამოხდაზე მუშაობდა, ახლა კი ღვინის სარდაფის ოთხი განყოფილება აბარია და თვალის ჩინივით უვლის. მისმა მოვლილმა „კარდანახის კახურმა“ ოქროს მედალი მიიღო.



ინჟინერ-ტექნოლოგი ნინო ხიზანიშვილი

მარო, ვენერა და ნათელა რომ მოგვიახლოვდნენ, ბაბალემ შესწყვიტა ლაპარაკი, თუნგს წამოაველო ხელი და დასამშვიდობებლად მოემზადა.

— სად მიდიხართ? — ვკითხე მე.

— ნინო გველოდება ლაბორატორიაში, ღვინო უნდა ავუტანოთ სინჯის ასაღებად, — თქვა ნათელამ.

— ჩვენც წამოვალთ, — ვუთხარით მასპინძლებს და გავყევით.

გზაში გავიგეთ, რომ ვენერა ლუი-კასრელიშვილი და ნათელა ყალაბეგაშვილი, მოწინავე მშრომელები, ამ ერთი წლის წინ გურჯაანის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად აურჩევიათ.

—ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელოა ღვინის მომვლელ ქალთა შრომა, მაგრამ მათ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ქარხნის წარმატებები. დასაყენებელი ღვინის კასრების ყოველდღიური გაწმენდა ობისაგან, ნაკლული კასრების შევსება და მათი სანიმუშო სანიტარულ მდგომარეობაში დაცვა მაღალხარისხოვანი ღვინის დაყენების პირველი პირობაა, რასაც ყველანი დიდი გულისყურით ეკიდებიან, — გვეუბნება მთავარი მეღვინე.

ქარხნის ქიმიურ ლაბორატორიაში ვეცნობით ქიმიური ლაბორატორიის გამგეს, ინჟინერ-ტექნოლოგ ნინო ხიზანიშვილს და მეღვინე ნინო გორხელაშვილს, რომლებმაც ქარხანაში ათეული წლები გაატარეს.



მეღვინე ნინო გორხელაშვილი



სამართლიანად ამაყობს ქარხნის კოლექტივი მიღწეული წარმატებებით. შარშან გეგმის ზევით გურჯაანელმა მეღვინეებმა 5.000 ტონა ყურძენი გადაამუშავეს. წელს გეგმა კვლავ დიდი აიღეს და პირის შერცხვენას არ აპირებენ. ამის საწინდარია ხუთი ოქროს მედალი.

**თ. ცერცვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ შალიკაშვილი

# ცისფერი გვირილები

მგზავრის დღიურიდან

მხატვარი დ. ერისთავი

კარგად შეღამებული იყო, ბათირა რომ ღია აივანზე მძიმე ნაბიჯებით შემობრაგუნდა. წესად ჰქონდა, ჯერ ფეხის წვერებზე აწეული შემოიხედავდა ოთახში და შემდეგ ნელა შემოაღებდა კარს.

ბათირა დიდი ხნის მეგობარი იყო ჩემი. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, ხშირად დავდიოდით მთაში ერთად. მოხევე იყო და უყვარდა მთაში ხეტიალი. მისი სიყვარული და გატაცება ნელნელა მეც გადამედო. ბათირას წყალობით თითქმის ყველა კუთხე მქონდა დავლილი ფეხით.

გამარჯობა-მისალმების შემდეგ სკამლოგინზე ჩამოჯდა, გემრიელად გააბოლა, მარჯვენა ფეხი მუხლზე შემოიდო და შემომაჩერდა. ბათირა ქალაქში ცხოვრობდა, მაგრამ მოხეურად მაინც მოუქცევდა ხოლმე. მე ნათლობის სახელი დავითი მქვია, — დათიკო ან დათო, ბათირა კი ვერაფრით მიეჩვია ამას და მუდამ დათიას მეძახდა.

— დათია, შაბათ-კვირას მთაში მინდა წასვლა, თუშეთისკენ; გუშინ ჩვენებური ბიჭი შემხვდა. ფერმის გამგეა ქვემო ალვანში, მისაყვედურა — რად დამივიწყე, ამამიარეო. ჰო და მეც შევპირდი, შენც გიგულვე სათვალავში. შაბათ დილისთვის ცხენებს დაგვახვედრებს ალვანში.

დაამთავრა, გაჩუმდა და შემომაჩერდა პასუხის მოლოდინში. ყველაფერი ისე უცაბედი იყო ჩემთვის, კარგა ხანს ვერაფერი ვუთხარი პასუხად.

— სიციცისა არ შეგეშინდეს, ისეთი ბატკნის ჯუბები მაქვს, ნამცეცი სუსხიც ვერ გაგვკარება, — წამაშველა სიტყვა.

ბათირას მხარზე ხელი დავკარი: — გადაწყდა, მოვდივარ-მეთქი — ვუთხარი.

— პარასკევ ღამით უნდა გავყვეთ მატარებელს თელავამდე, დილისათვის ალვანში რომ მოვასწროთ, — მითხრა ბათირამ.

* * *

შაბათ დილას, ალიონზე, უკვე თელავის სადგურში ვიყავით. დილის სუსხმა ვაგონის სითბო უცბად გამოგვგლიჯა ტანიდან და ერთჯერობა კარგადაც აგვაძაგძაგა. საკმაო ლოდინის შემდეგ, გზად მიმავალმა სატვირთო მანქანამ ალვანისაკენ გვიყო პირი. ერთ საათში მე და ბათირა ალვანში, ფერმის შენობასთან ვიყავით ჩვენი გახუნებული ზურგჩანთებითა და სანადირო თოფებით. ბარგი მოვიკიდეთ და შენობაში შევედით. ოთახში, გადაღობილ მოაჯირს იქით, უსახელო თხისჯუბიანი, ცხვირზე სათვალეჩამოკიდებული თუში იჯდა და სალოკი თითით საანგარიშოზე რაღაცას ცოდვილობდა. ჩვენს დანახვაზე, სათვალის ზემოდან ამოგვხედა და შეკითხვას დაელოდა.

— ლეოი მინდოდა, ფერმის გამგე, ციხელიშვილი — უთხრა ბათირამ.

— ლეო ციხელიშვილი? — კითხვით უპასუხა თუშმა — ჰო, მე ბუღალტერი ვარ, ლეო კი ჯერ არ მოსულა, — თქვა და ისევ ააჩხაკუნა ხის გორგოლაჭები.

— დავუცდით, — უთხრა ბათირამ და კედელთან მიდგმულ გრძელ სკამზე მანიშნა, ჩამოვსხდეთო. ჩუმად ვიჯექით. ბუღალტერი კი გაუთავებლად აჩხაკუნებდა. როგორც იქნა, მორჩა ჩხაკუნს, პაპიროსი გააბოლა და ჩვენსკენ შემოტრიალდა.

— თელავიდან ხართ ამოსულნი?

— არა, თბილისიდან გახლავართ, — ვუპასუხეთ ჩვენ

— ალბათ შემოწმებაზე იქნებით? — ჩაილაპარაკა თავისთვის.

ბათირამ ღიმილით გადმომხედა.

— არა, ჩვენ ისე ამოვედით მთაში, სტუმრად. დავივლით ამ მხარეს და ისევ შინ გავბრუნდებით.

ბუღალტერმა ეჭვის თვალით შეგვათვალიერა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

გავიდა ხანი და ბათირას მეგობარიც გამოჩნდა.

— კაცს სიტყვით იცნობენო, — დაასწრო ფერმის გამგემ, გადაეხვია ბათირას და მოგვესალმა, კეთილი იყო თქვენი ამოსვლა ჩვენსკენაო.

— თუ ცხენები მზადა გყავანან, ნუღარ დაგვაგვიანებთ, ჩემო ლეო, დილითვე გვირჩევნიან გზას გავუდგეთ, შენს მასპინძლობას კი მერეც მოვესწრებით, პირაქეთ რომ დავბრუნდებით, მაშინ დაიხარჯე, — უთხრა ბათირამ და ზურგჩანთას წამოავლო ხელი. ყოყმან-პატიჟის შემდეგ ლეოც დაგვთანხმდა. გარეთ გამოვედით, გრძელბეწვა ნაბდებგადაკრული ცხენები უკვე გვიცდიდა მოაჯირთან.

დავემშვიდობეთ, მოვერგეთ უნაგირებს და თორღვას აბანოს აღმართს შევუდექით.

—თუ რამ გაგიჭირდეთ მთაში, მწყემსებს უთხარით, ლეო ციხელიშვილისგანა ვარ-თქო, და ყველაფერს გაგიკეთებენ, — კარგა გამოცილებულებს დაგვადევნა სიტყვა ფერმის გამგემ.

დიდხანს ვიარეთ ჩუმად. წინ ბათირა მიდიოდა, მე კვალში მივდევდი. გზა ფართო იყო და ხრიოკი, შემდეგ ნელ-ნელა დავიწროვდა. აბანოების ქიმებს რომ მივაღწიეთ, საქანელასავით დაეკიდა საცალფეხო ბილიკი. მუხლმაგარი თუშური ცხენები ჭკვიანი ნაბიჯებით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. შუადღე უკვე კარგა გადაწვერილი იყო, ომალოს ტაფობი რომ გამოჩნდა. ქვევით, მარჯვნივ, უნაგირა მთის ძირში, აეროპორტის გაშლილი მინდორი დავინახეთ. „ეს ყველაზე დაბალი წერტილია მთაში“, — გადმომძახა ბათირამ და მოსირმული მათრახის ფოჩით ქვევითკენ მიმითითა. თუშეთში პირველად ვიყავი, ყველაფერს დაჭყეტილი თვალებით ვზომავდი და ვიმახსოვრებდი.

ომალოში მარილით დატვირთული მწყემსები შემოგვხვდნენ პირველად. ჩვენი მოგზაურობის მიზეზი გაიგეს და ეამათ, მთაში კეთილ ფეხზე ასვლა დაგვილოცეს. მერე გვირჩიეს, ღამე აქვე, ომალოში გაგვეთენებინა, მალე დაბინდდებაო, და მწყემსების სადგომებისაკენ მიგვიპატიჟეს. მეტი რა გზა იყო, დავთანხმდით.

ცხენები და ბარგი ჩამოგვართვეს და ბინებში შეგვიძღვნენ. შეციებულები იქნებითო, გვითხრეს მწყემსებმა და, ცეცხლთან ცხვრის ტყავებზე ჩამოგვსხეს. ატეხეს ფაცი-ფუცი და მალე დაბალ ხის სუფრაზე გაიშალა საოცნებო მწყემსური პურ-მარილი.

— გიორგი პაპას გასძახე. უთხარ, სტუმრები გვყავანან დიდი ქალაქიდანთქო, — დასჭყივლა ტანმორჩილმა მწყემსმა ჭრელ ჩითებში გამოწყობილ პატარა ბიჭს და ხანჯლის წვერით ჩობან-ყაურმას მოუხსნა ყელი. გემრიელმა მწყემსურმა კერძმა ბინაში დასაბნედი ოხშივარი დაატრიალა.

გიორგი პაპაც გამოჩნდა.

— საით არიან სტუმრები? — დერეფნიდანვე იკითხა, ჩვენც ფეხზე წამოვიშალეთ, დაგვინახა და მისკენ დავიძარით. ქათქათა თეთრ წვერსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმას ერთი მუჭა თუშური ლეგა ქუდი ჩიტის ბუდესავით მორგებოდა. მოგვიახლოვდა, კეთილი იყოს, შვილებოო... არ დაამთავრა და თავის ძარღვიან ხელებში მაგრად ჩაბღუჯა ჩვენი ხელები.

გამარჯობა-გაცნობის შემდეგ ყველანი ადგილებზე ჩამოვსხედით. პაპა გიორგიმ ძირი-ძირობამდე შეგვათვალიერა და შემდეგ გამოცდილი კაცის ხმით იკითხა, რამ გამოსწია თქვენი გულები მთისკენაო.

— თქვენი კუთხის სილამაზემ, სიყვარულმა და ცნობისმოყვარეობამ, — დავასწარი ბათირას. მოხუც პაპას შევატყე, ესიამოვნა ჩემი თქმა. შემდეგ დასწვდა თუშური არყით სავსე დოქს, მუხლზე ქეშად წამოაწვინა, შეავსო პატარა მუცლიანი ჯამი არყითა და ჩვენი სტუმრობა და პურ-მარილი ადღეგრძელა. ოთხი-ხუთი ჯამის შემდეგ, თუშურმა არაყმა და ლუდმა ყველას შუბლები დაგვითბო, პირველი უხერხულობის გრძნობა სადღაც დაიკარგა და გააპარა. ვილხინეთ გვიან ღამემდე, ვთქვით ამ მთისა, იმ მთისა. გიორგი პაპას გულით უხაროდა, რომ ჩვენ ძლიერ გვხიბლავდა გაფრინდაულების, ლუხუმების, ქუმელაურების და სხვათა გმირული ამბები. იმ ღამეს ბევრი ამბავი თუ ლეგენდა გვითხრეს მასპინძლებმა. შუაღამე უკვე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ყველანი გარეთ გამოვიშალეთ.

ეს პირველი ღამე იყო თუშეთში, ღამე უზომოდ შავი, ჰაერი — საკმაოდ ცივი, მსუბუქი და მგრძნობიარე. თავზე თუშური ცა გვეხურა, პატარა თუშური ქუდივით, — ჭახჭახა ვარსკვლავებით დახვრეტილი. ეს იყო ახალი, ზედიზედ მოზღვავებული სიხარულის ტალღები, რომელსაც ვერსად გაექცევი, უნდა განიბანო და განიცადო.

თავის ბინაში რომ მიდიოდა, გიორგი პაპა მწყემსებს მიუბრუნდა:

— ბიჭებო, კარგად მაასვენეთ, დილით ადრე გზად არიან დასადგომნი. დაგვემშვიდობა და წავიდა.

* * *

მთას ერთი უცნაური თვისება აქვს, რაც უნდა დაღლილი დაწვე, ალიონზე წაგკრავს ხელს, ჩიტივით წამოგაფრენს ლოგინიდან. მწყემსები უკვე ფეხზე დაგვხვდნენ, დილის საუზმისათვის ფაცი-ფუცობდნენ. ცხენები გაემზადებინათ და ჩვენღა გვიცდიდნენ. სახელდახელოდ წავისაუზმეთ, მოვახსხედით ცხენებს და დიკლო-შენაქოსაკენ ავიღეთ გეზი. სოფლის გადასახვევამდე გამოგვაცილეს, მშვიდობით დაბრუნება გვისურვეს. დიკლო და შენაქო თუშეთის ულამაზესი ადგილებია. ყველაზე ძლიერ აქ იგრძნობა მთის ბუნების სილამაზე. ისევ ისე მიდიოდა ბათირა წინ და მივყვებოდი კვალში. გზა თოკივით გადაეკიდა მოპრიალებულ კლდეს. ცხვირწინ, უძირო დაღმართი გვქონდა ჩასასვლელი. ფიქალნარევ კლდის ნაპირზე წაიჭყივლებდა ხოლმე თუშური ნალი და გონიერი ცხენიც დასჭიმავდა კუნთებს. დიდ დაღმართს ჩვეულებრივ დიდი აღმართი მოჰყვა. გავტოპეთ პირიქითი ალაზანი და შევუყევით გზას. ავედით სოფელში, აქაც ბევრი მასპინძელი შემოგვხვდა. ფეხდაფეხ დავიარეთ თუშური სანიშნებელი, ცაში ზვიადად აშოტილი კოშკები, ციხეები, ქონგურებიდან გადმოვხედეთ იშვიათ სილამაზეს და ნელ-ნელა დავიწყეთ მზადება უკან გამოსაბრუნებლად. სოფლის თავკაცებმა ბევრი საინტერესო რამ გვითხრეს.

დამშვიდობებისას მოხუცმა, ჯოხზე დაყრდნობილმა პაპამ, დინჯად დაუმატა: თუ სადმე კარგი ვაჟკაცი იყო თუშეთში, შვილებო, სამშობლოსათვის ყველა აქ ჩახარჯულაო, თუ სადმე ქვა გდია აქ, გმირთა სისხლით არის ნაპკური და გვერდს ნუ აუვლითოო... დავემშვიდობეთ და გამოვუყევით გზას. გზაში ბათირა შემომიტრიალდა და მკითხა, კმაყოფილი ვიყავი ყველა ნახულით თუ არა. — თითქოს ამ კითხვას ველოდი, მთელი გზა ქადაგად დავეცი და სიხარულს ვეღარ ვმალავდი. საღამოხანს ომალოში ავედით, დაბნელებამდე ცოტაღა რჩებოდა, ზემოთ ბინებში ასვლას მოვასწრებდით. გავიარეთ კარგა გრძელი აღმართი, წყაროსთან ცხენები შევაჩერეთ, ჩვენცა და ცხენებმაც სული მოვითქვით და გავაგრძელეთ გზა.

ის იყო ბათირამ ცხენი შემოატრიალა წყაროსთან, რომ,—რაღაც ბედად, ცხენს მარჯვენა წინა ფეხი აუცდა კლდეზე, ერთი დაისტვინა რკინამ პიტალოზე და ცხენმა ჩაიჩოქა. ერთი კი ვიყვირე ბათირა-მეთქი, მაგრამ ვეღარ მოასწრო უზანგიდან ფეხის გამოცლა და წაქცეულ ცხენს ქვეშ დაეტანა. ცხენი რომ წამოვახტუნე, მუხლის დაბლა ჩვარივით ჩამოეკიდა ბათირას ფეხი. მხრებში ვეცი, შევანჯღრიე, საცოდავს სახე მწარე ტკივილისაგან ერთიანად დაღმეჭოდა.

— ბათირა, ბიჭო, ხმა ამოიღე, რა მოგდის, აქა ვარ, შენთან, შენი ჭირიმე, ხმა გამეცი, — და კიდევ შევანჯღრიე.

ჩემს შეტოკებაზე უფრო ხმამაღლა დაიკვნესა და სიმწრის ოფლმა გაფითრებულ ნესტოებთან ღარებად დაასხა. ბექობიდან მწყემსებს უკვე დავენახეთ და თავპირისმტვრევით დაეშვნენ ჩვენსკენ.





— რა მოსვლია ამ უბედურს? — იკითხა პირველმა მწყემსმა და მოღუნული რქისტარიანი დანით შეაჭრა ჩექმის ყელი, შავმა, დაგუბებულმა სისხლმა იხუვლა. ბიჭებმა ბათირა გზიდან ბალახებზე გადააწვინეს. ვუცქერდი, როგორ აჭრიალებდა კბილებს მწარე ტკივილისაგან ბათირა. სველი ხელსახოცით მოსწმინდა იმ კეთილმა მწყემსმა ბათირას სისხლი, უნაგირის ბალიში მოახსნევინა პატარა ბიჭს და რბილად დაადებინა ნაიარევი ფეხი, შემდეგ გასძახა ტანწვრილ თუშს:

— აჟარდი, ბექარავ, ბინებში, ნაბადი წამაიღე და ვინმე აფრინეთ ქეთო ექიმთან, კაცი მოგვყავს ფეხდამტვრეული-თქო.

ბექარა თოფნაკრავივით გავარდა. ბათირა ისევ ისე მწარედ კვნესოდა. ელვასავით მოედო ეს უსიამოვნო ამბავი მწყემსების ბინებს. ჩქარა მოარბენინეს ნაბადი, თასმები და თვითონაც ბლომად მოჰყვნენ. მძიმე-მძიმედ გადავაწვინეთ საცოდავი ნაბადზე, მოტეხილი ფეხი თასმებით აუკრეს, ხელში აიყვანეს და გავუყევით ქეთო ექიმის ბინისაკენ. კარგა გზა გავიარეთ და ფერდობზე ფიქალით ნაშენ სახლს მივადექით. ფართო სკამლოგინზე ფრთხილად დავაწვინეთ ბათირა.

„ქეთო ექიმი ახლავე მოვა", — მოარბენინა ამბავი აქლოშინებულმა ბიჭმა. ტკივილი უფრო და უფრო მატულობდა.

როგორც იქნა, დაიძახეს, ქეთო ექიმი მოვიდაო. ორი-სამი მწყემსის გარდა ყველანი კარში გაიხვეტნენ. ურდულმა დაიჭრიალა და ახალგაზრდა ცქრიალა ქალიშვილმა აჩქარებულად შემოაღო კარი. არავისთვის შეუხედავს, პირდაპირ ბათირასთან ჩაიმუხლა და სახელდახელოდ შეხვეულ ფეხს დაუწყო შეხსნა. უცბად გააჩინეს თბილი წყალი და წამლები. ექიმმა კარგა მსხვილი ნემსი გაუკეთა ბარძაყში და მალე ბათირაც მიყუჩდა, თვალები მილულა.

პირველი დახმარების შემდეგ ქეთო ჩვენკენ შემოტრიალდა.

— არც თუ ისეთი მსუბუქი მოტეხილობაა, განძრევა ჯერჯერობით არ შეიძლება, — გვითხრა დინჯად და გარეთ გავიდა. პრიალა თასით თაბაშირი შემოიტანა, ცხელი წყალი მოითხოვა და ფართო დოლბანდებს დაუწყო ზომაზედ დაჭრა. მივჩერებოდი ამ ერთ ციდა გოგოს და გუნებაში ვფიქრობდი: ნუთუ ეს პატარა ქალიშვილია ამხელა მთაში უბედური შემთხვევების ავან-ჩავანი-მეთქი?

ის კი, ფაფად ქცეულ თაბაშირს სქლად უსვამდა ზომაზე დაჭრილ დოლბანდებს და მთელი ღონით ახვევდა კვნესადქცეულ ბათირას. მეც ვეხმარებოდი, რაც შემეძლო. როცა ყველაფერი მოთავდა, ისევ ჩამოვსხედით.

ქეთო ექიმმა ოდნავ გაიღიმა.

— ნუ შეგეშინდებათ, მთაში ყოფნის სახსოვრად დარჩება თქვენს მეგობარს, — თქვა სევდანარევი ხმით და ოთახის გასუფთავებას შეუდგა.

მოგვიანებით კიდევ გაუკეთა ნემსი ტკივილის დასაყუჩებლად. პირველმა უცაბედმა შიშმა ჩაიარა და თითქოს მდგომარეობას შევეჩვიე. მწყემსებმა რამდენიმე იღლია შეშა ამოიტანეს, ბუხარში შეყარეს და ააპრიალეს. ბუხართან მიმჯდარს, ბეჭები გამითბა და ახლაღა ვიგრძენი დაღლა. უკვე კარგად შებნელებული იყო, როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. ბათირას ისევ ეძინა. ქეთო ექიმს ბათირასთან დარჩენისა და ღამის თევის ნებართვა ვთხოვე — იქნება როგორ ვყოფილიყავი უცბად საჭირო. დამთანხმდა. ვიგრძენი მშიოდა, მაგრამ ისე მქონდა კრიჭა შეკრული, თავი ვანებე ამაზე ფიქრს. ოთახში რომ მორჩა საქმეს, ექიმი კარში გავიდა, დიდხანს არ დაბრუნებულა. ფეხის ხმაზე ვიცანი. მოწ[illegible]ლი კალათით შემოვიდა ოთახში. მოიბოდიშა, დავიგვიანეო და სუფრის გაშლას შეუდგა. მე ვიუარე, ნუ სწუხდებით-მეთქი, მაგრამ მისმა უცნაურმა, გაკვირვებულმა გამოხედვამ გამაჩუმა.

* * *

პირველად კი ვიუარე, მაგრამ გაშლილ პურმარილს ისე გემრიელად შევექეცი, წუთით ყველაფერი გადამავიწყდა. ვახშამმა გვიანობამდე გასტანა. ასე გაშლილ სუფრასთან შევრჩით მე და ჩემი მასპინძელი. ბათირას უკვე კარგად ეძინა, ისე ხშირად აღარ კვნესოდა. ვახშმობის შემდეგ ქეთო ექიმს ჩვენი ვინაობა ვუთხარი, ვინ ვიყავით, რაზე ამოვედით მთაში. ყურადღებით მისმენდა და არაფერი გაჰკვირვებია. ჩემსა და ბათირას შესახებ თითქმის ყველაფერი რომ ვთქვი, შემდეგ თავის შესახებ ვთხოვე ზოგიერთი რამ ეამბნა. ამ თხოვნაზე, ცოტა არ იყოს შეიშმუშნა, თითქოს უხერხულობა იგრძნო. მერე გაუბედავად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო:

— რაა სათქმელი, თვითონაც ხედავთ, მე აქ, თუშეთში ექიმად ვმუშაობ. — ყველაფერი ეს რაღაც დაძაბულად თქვა, ისე, რომ ერთი წერტილისათვის თვალი არ მოუშორებია. გაჩუმდა, მე მივჩერებოდი, მომეჩვენა, თითქოს წინადადებებს ეძებდა, არჩევდა, როგორ გაეგრძელებინა საუბარი.

— ჩემმა თუშეთში წამოსვლამ საოცრად შეცვალა ჩემი ცხოვრება და დამაკარგვინა ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ? — ვერ მივუხვდი და კითხვა გავუმეორე. — როგორ თუ დაგაკარგვინათ?!

— ისე, უბრალოდ, ჩემდაუნებურად. — განაგრძო ქეთომ. სამედიცინო ინსტიტუტი შვიდი წლის წინათ დავამთავრე. ორი წლით თუშეთში გამანაწილეს და მეც სიამოვნებით დავთანხმდი. შემდეგ ჩამოვედი და აი, შევრჩი და შევრჩი აქაურობას.

ბოლო წინადადება ისე ნერვიულად წარმოთქვა, იმ წუთშივე მივხვდი, რაღაცა დიდი მიზეზი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თქმას ვერ ახერხებდა ან ერიდებოდა. უხერხულად ჩავთვალე ჯიუტად ჩავკითხოდი და თავი შევიკავე.

პატარა სამფეხა სკამზე ვიჯექი, ბუხართან და შევჩერებოდი ქეთოს. მის მიმზიდველ სახეს რაღაც წუხილი გადაეფარა, ეტყობა, რაღაც გაახსენდა და ვერაფრით ახერხებდა თავის დაღწევას. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. იგი ზურგიან სკამზე იჯდა ოდნავ გვერდშექცევით და აპრიალებულ ცეცხლს ჩასჩერებოდა. ნიკაპთან შესამჩნევად უკანკალებდა მელნისფერი პატარა ძარღვი, შეშუპებული ქუთუთოები საწვიმარი ღრუბლივით დაბერვოდა ცრემლით.

— მაპატიეთ, — ძლივსღა ამოვილუღლუღე, — მაპატიეთ, თუ კი ჩემი შეკითხვის გამო შეიქენით ასე, — და უხერხულობის წრიალი ამიტყდა.

— არა, თქვენ რა შუაში ხართ, — თითქოს გამოერკვა, თმა საფეთქელთან ხელით გადაიყარა.

— ეს მე ისე, ჩემდაუნებურად, — ჩაილაპარაკა უკვე ბზარშეპარული ხმით.

შემდეგ ორივე დიდხანს გავჩუმდით. ბათირას ისევ ეძინა. ბუხარში ცეცხლი იფშუტებოდა. შუაღამე უკვე გადასული იყო. ქეთო ექიმს წასვლა ვთხოვე მოსასვენებლად, თუ საჭირო იქნებოდა, შევატყობინებდი. იგი ამავე სახლში ცხოვრობდა, გვერდით ოთახში. დამთანხმდა. მძიმედ წამოიწია და გავიდა. ფეხზე წამოვდექი, ბათირას დავხედე. ჯიბეში მოვიძებნე მოსაწევი. ჩავიმუხლე ბუხართან, შემორჩენილ ნაღვერდალზე მოვუკიდე და ვფიქრობდი ხვალინდელ დღეზე, ვფიქრობდი დღევანდელ უცნაურ საღამოზე. გვერდით ოთახში ხრინწიანად გაიჭრიალა ხის საწოლმა. მეც მოვიკეცე ნაბადზე, ბუხართან და ფიქრებში წავედი.

* * *

დილით, თვალი რომ გავახილე, ქეთო ექიმი ბათირას თავზე დასდგომოდა და რაღაც წამალს ასმევდა. სწრაფად წამოვდექი.

— დღესაც შეაწუხებს ტკივილი ცოტას, მერე კი გაუყუჩდება, — თქვა ქეთო ექიმმა და თავის ოთახში შებრუნდა.

ბათირა შეწუხებული თვალებით მომჩერებოდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, უხერხულად გრძნობდა თავს. მე სწორედ მივუხვდი, გავუღიმე და ვუთხარი:

—ბათირავ, მე ქვემოთ, აეროპორტის შენობაში ჩავალ, ამბავს დავაბარებ ქალაქში.

დამთანხმდა, მიმიხვდა, რომ სახლში დაგვიანების მიზეზად უსათუოდ სხვა რამეს შევუთვლიდი და ესიამოვნა. ქეთო ექიმიც შემოვიდა ოთახში. მე ვთხოვე, ვინმე გაეყოლებინა აეროპორტამდე. ახლავეო, და გარეთ გასძახა, — ჯიშურა, ჩვენს სტუმარს გაჰყევი ქვევითო. ჯიშურას ხელი ჩამოვართვი და თავქვე დავეშვით. კარგა მანძილზე რომ გამოვცილდით სახლს, ჩემს გამყოლს ვთხოვე, ქეთო ექიმზე ეამბნა რამე. ამ კითხვაზე ჯიშურა შეჩერდა, ერთი ნაბიჯი უკან გადადგა, თვალებში ჩამოფხატული წარბები საავდროდ მოღუშა და მოჩხუბარი კაცის კილოთი მოურიდებლად მითხრა:

— შენ და შენი დაშავებული მეგობარი თუ ქეთო ექიმზე ბოროტი აზრითა ხართ აქეთ ამოსული, დღესვე რომ უკან წახვიდეთ, ის გირჩევნიათ.

მე გამეღიმა ჯიშურას დაუფარავ გააფთრებაზე და ვუთხარი, რაც მაინტერესებდა, ვუთხარი, რომ ცნობისმოყვარე კაცი ვარ და ასეთი ამბები ძალზე მაინტერესებს-მეთქი.

თითქოს ცოტა მოლბა, გამომხედა და დაიწყო:

— ქეთო ექიმი სულ ბალღი იყო, ჩვენთან რომ მოვიდა პირველად. მწყემსები სიცილით ვიხოცებოდით, როცა ვნახეთ: ეს მოსინსლული ბალღი ერთ ბატკანსაც ვერ ასწევს, თორემ დაჩეხილ კაცს როგორ მოარჩენს-თქო, ასე გვეგონა ყველას, მაგრამ მორებისაგან დამტვრეული ზაზუნა ბრიგადირი ამ ქვეყნისაკენ რომ შემოატრიალა, იმის შემდეგ ყველამ ჩავიწყვიტეთ ხმა. თმა არ ეყოფა კაცს თავზე, იმდენი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული ჩვენს ექიმს. თვალსა და ხელს შუა დაქალდა, დასრულდა ჩვენი ექიმი. მაგის გულისთვის არც ერთი თუში თავს არ დაზოგავს. მაგრამ რა გინდა უშველო, საქმე დაემართა საცოდავს, ძალა არავის ყოფნის ეგეთი შეცდომა გამოასწოროს.

შენმა ამხანაგმა წყაროსთან ფეხი რომ მოიტეხა, იმის ცოტა ზევით გადასახედი გინახავს?

მე უარი ვუთხარი: — არ მინახავს-მეთქი.

— ჰო და, თუ არ გინახავს, წამომყე, ძალიან თუ არ გეჩქარება.

ვუთხარი, არ მეჩქარება-მეთქი. გადავუხვიეთ გზიდან. წყაროს გადასახედთან რომ მივედით, ჯიშურამ მკითხა: ქვევით ვერაფერს ხედამ?

თვალი მოვავლე იქაურობას და უარი ვუთხარი, ვერაფერს ვხედავ-მეთქი.

— ყვავილებში თეთრ ქვას მაშ ვერა ხედამ?

მე შევამჩნიე ყვავილებში ჩამჯდარი უწარწერო, ნაჩორკნი ქვა. ახლო მივედი. ჯიშურა დაიხარა გადასახედის ნაპირთან და ბღუჯა ყვავილები მოთხარა.

— ამ ყვავილს ჩვენში ზედმეტ სახელად „რწყილა ყვავილს“ ეძახიან. ამის მოგლეჯას გადაჰყვა ის საცოდავი ბიჭი. ყოველ თვე ამოდიოდა იგი ქეთო ექიმთან. ჯერ მოჰკრეფდა რწყილა ყვავილებს, შემდეგ კი მოვიდოდა. გაგიჟებით უყვარდა ეს ყვავილები ჩვენს ექიმს. ჰოდა, ერთხელაც ველარ მოზომა, ალბათ იჩქარა, რაღაცამ უღალატა და თავადაც ხედავ...

ჯიშურა გაჩუმდა. მუჭში სრესდა ძირიანად მოთხრილ ყვავილებს. მე დავიღუნე, მოვბოჭე ყვავილები და ახლოს დავაცქერდი. ისინი საოცრად ჰგვანან ჩვენებურ მთის გვირილებს, ოღონდ უფრო პატარები, ცისფერები და ნაზები არიან. ვატრიალე ხელში, ვაწვალე და უთქმელად ჩამოვდე თეთრ ქვაზე. შემოვტრიალდით მე და ჯიშურა, მძიმე ნაბიჯებით გავუყევით გზას.

— მერე რა მოხდა? — კარგა ხნის დუმილის შემდეგ ვკითხე.

— მერე რაღა, — რომ შეატყობინეს ეს ამბავი, საცოდავი კინაღამ გაგიჟდა... რაღა ეშველებოდა. ყველა წესი შეუსრულეს და ცხოვრებაც ნელ-ნელა ჩადგა თავის კალაპოტში. ოღონდ ქეთო ექიმი გახდა სხვანაირი...

აეროპორტიდან ამობრუნებულმა, ჯიშურას მადლობა გადავუხადე, ეს ამბავი ჩვენში დარჩეს-მეთქი — ვუთხარი და ხელი ჩამოვართვი.

ჯიშურამ დასტურად გამიღიმა.

* * *

ორ კვირაზე მეტი გავიდა და ბათირამ პატარა ბალღივით დაიწყო ნელ-ნელა ბრაცუნი ყავარჯნების დახმარებით. უკვე შეიძლებოდა შინ, ქალაქში დაბრუნება. მთელი ამ ხნის განმავლობაში გვმასპინძლობდა ქეთო ექიმი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვუცქერდი მის სევდიან სახეს და ნათლად ვხედავდი დიდ მწუხარებას, რომელმაც ცხოვრების დასაწყისშივე შეუტია, თითქმის მოტეხა, დააბეჩავა, ხოლო უფრო იქით, შიგნით, ძალიან ღრმად, ძნელად მოუდრეკელი ახალგაზრდული ძალა და ცხოვრების ნერვი მაინც ეხეთქებოდა, ებრძოდა კედლებსა და გარე სამოსელს. დაუპატიჟებელ მწუხარებას მაგრად ჩაევლო ჩაშავებული ბრჭყალები, მაგრამ ბოლომდე ვერ მორეოდა, ვერ გაენადგურებინა სიცოცხლისაკენ სწრაფვა, ყიჟინა და ძახილი. რატომღაც მჯეროდა, ვგრძნობდი, რომ ყველაფერ ამას პირველი მე ვხედავდი.

დადგა წამოსვლის დღეც. იგი უჩვეულოდ ნერვიული შეიქმნა. მთელი სოფელი გვაცილებდა.

ქეთო ექიმმა წყარომდე გამოგვაცილა. წინ ბათირა მიდიოდა კოჭლობით, მე ისევ ისე მივყვებოდი კვალში. წყაროსთან, გადასახედთან გავჩერდი, ყველანი ჩუმად ვიყავით. უბერავდა ზენა ქარი. მე თვალები გავაპარე თეთრი ქვისაკენ, სადაც დაგლეჯილი რწყილა ყვავილები უკვე მიმჭკნარიყვნენ. ქეთო ექიმს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია, ჯიშურას დაუწყო თვალებით ძებნა, მონახა და გაოცებული მიაშტერდა. უცნაურად, უთქმელად დავემშვიდობეთ და დავიძარით ქვევით, აეროპორტის შენობისაკენ.

კარგა გზა რომ გამოვიარეთ, უცებ შევტრიალდი უკან. თუშები აღარავინ ჩანდა, გახვეტილიყვნენ. წყაროსთან, გადასახედთან იდგა ქეთო ექიმი და ჩვენსკენ იცქირებოდა. შებორკილივით შევტორტმანდი. ხელებიც კი შევმართე კორტოხზე გადმომდგარ ქეთო ექიმისაკენ, მინდოდა მეყვირა, მეყვირა მეხივით ძლიერი ხმით, მეკითხა, სადამდე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ასე, მაგრამ უბერავდა ქარი, უკითხავი მრჩებოდა მთავარი. ბათირა საკმაოდ დამშორებოდა, ჩემდაუნებურად მივალაჯებდი აღმართისაკენ.

ვგრძნობდი მხოლოდ, როგორ მსიამოვნებდა ცივი ქარი და პატარავდებოდა მანძილი გადასახედამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ႵႠႰႧႪႨႱ ႡႠႶႤႡႨ

როცა ქართლში ცხელი ქარები ქრიან, ქარსაცავი ხეები დარაჯებად უდგანან ძვირფას ხეხილს. ტოტებზე დახუნძლული ბალი, ვაშლი, ატამი ღვივდება, მზით ფერადდება, შაქრით ივსება და მოთმინებით იცდის, სანამ მოვიდოდეს ხიდან ჩამობრძანების დრო.

ჰყვავიან ქართლის ბაღები. გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ხეების ყვავილობიდან ყვითელი ფოთლების ჩამოცვენამდე ათასგვარი ფერები წაეკიდებათ ტოტებს. დგას სურნელება ატმის ყვავილების, სითეთრე ვაშლის ხის აფეთქების, და მიწა, გაამაყებული თავისი სასწაულმოქმედებით, ხარბად ისრუტავს წყალს, სასუქს.

თითქოს წინასწარ მოილაპარაკეს ერთმანეთში კაცმა და მიწამ:

„მომიცია შენთვის ჩემი ხელების ძალა, რომ მოგიტანო სასმელ-საკვები, მოგიფონო გულს — დაგბარო, გიშველო გვალვასა და ქარში, სიმშრალე სინესტით შეგიცვალო, ქარი — ნიავით“.

თითქოს შეთანხმდნენ, რომ მიწა მისცემდა კაცს დიდ დოვლათს, მოისხამდა თვალით უნახავ ნაყოფს, სიმძიმით ტოტებს დახრიდა ძირამდის, გაამდიდრებდა თავის მუშას — მხვნელსა და მრგველს.

ალბათ, ასე იყო, რომ აყვავდა ქართლის ბაღები, ცნობილი ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნობის ბაღები ქართლის გულში.

არაჩვეულებრივი ხვავიანი შეიქნა მეურნეობისათვის წლევანდელი წელიწადი. მიწამ დაიბერტყა სიუხვის კალთა — ყუთებში ვერ ტევდნენ მსხვილ თეთრ ბალსა და შავ ხარისგულას, ვერ აუდიოდნენ შეეფუთათ ერთმანეთზე უკეთესი ვაშლის ჯიშები — „კეხურა“, „შამპანური რენეტი“, „ბანანი“, „ლონდონის პეპინი“, თითქოს ხელიდან დასხლტომას ლამობდნენ ვეებერთელა ლოყაწითელი ატმები.

ასე დაიკრიფა ხეხილი ვარიანის თვალუწვდენელ ბაღებში.

მიწამ ხომ თავი ისახელა, და ადამიანებსაც შეემატათ ფასი და პატივი. უხვი მოსავლის მოღებისათვის მეურნეობის მეხილეობის ბრიგადის ბრიგადირმა ეკატერინე თვალიაშვილმა სოციალისტური შრომის გმირობა მიიღო. ლენინის ორდენით დააჯილდოვეს ბაღების მრწყველი ლონგინოზ მაზმიშვილი, წითელი დროშის ორდენოსნები გახდნენ დარიკო შაიშმელაშვილი, ვერა მამულაშვილი და ყარამან ვამიშვილი. „საპატიო ნიშნის“ ორდენი მიიღო ანდრო აბრამიშვილმა. ერთ მეურნეობაში ერთ წელიწადში შრომის გმირისა და ამდენი ორდენოსნის დაბადება დიდი ამბავია. ვინც თვალს ადევნებდა ამ ადამიანებს შრომისას, ის იტყვის კიდეც, რომ ალალია მათთვის ეს ჯილდოები.

ყველაზე კარგი სამეთვალყურეო ის პატარა თვითმფრინავია, რომელიც ხეებს ზემოდან აფრქვევს წამალს. იქიდან შეიძლება თვალი მოავლო მეურნეობის 4 ათას ჰექტარს, ექვსივე უბნის ფართობებს, ქარსაცავებს, სარწყავ არხებს, ადამიანებს.

იქიდან ყოველ დილით დაინახავთ ბაღებში მეურნეობის დირექტორს ოთარ ლაბაძეს, მთავარ აგრონომს სერგო ჯირკველაშვილს, მეურნეობის ენტომოლოგს მიხეილ ბუკიას, მეორე უბნის აგრონომს ივანე მჭედლიშვილს. დაინახავთ ბრიგადებს. აქ არიან ახალდაბელები, ვარიანელები, არაშენდელები, საქაშეთელები. დღისით მათი კეთილმოწყობილი სოფლები ბავშვებისა და მოხუცების ანაბარა რჩება, ჯანღონიანი მამაკაცები და ქალები ვარიანის ბაღებში სხლავენ ხეხილს, ბარავენ, რწყავენ.

სოციალისტური შრომის გმირის ეკატერინე თვალიაშვილის ბრიგადა პირველ უბანზეა. ბრიგადის 32 წევრი სხვადასხვა ადგილზეა გაფანტული. ეკატერინეს დაუსრულებლად უხდება მათი მონახულება, სამუშაოს შემოწმება, რჩევის მიცემა. დღის ბოლოს ამ სიარულში 6-7 კილომეტრი, ზოგჯერ კი მეტიცაა გავლილი.

17 წელიწადია ეკატერინე ბრიგადირად მუშაობს. მის ბრიგადას 101 ჰექტარი ბაღი აბარია. ბევრი ხე მის ხელში გაიზარდა, აყვავდა, მსხმოიარე გახდა. მისი ბრიგადა მესამე უბნის ბრიგადას ეჯიბრება. გოგია საათაშვილს მოწინავე ბრიგადა ჰყავს, მაგრამ ხშირად გამარჯვება ეკატერინეს ბრიგადას რჩება.

ლიახვის წყალი ახლოს ჩაუდის ეკატერინეს ბრიგადის ბაღებს და პირველ რიგში მათ რწყავს. დავალებებს ბრიგადის წევრები ორმაგად ასრულებენ, ალბათ, ქალის პატივისცემითაც. შეიძლება ესეც არის პირველუბნელების გამარჯვების ერთერთი პირობა, იმ შრომისმოყვარეობასთან ერთად, რაც მათ ახასიათებს.

წელს ყველას ეამაყება გმირის ბრიგადაში ყოფნა, ამიტომაც კარგი მოვლა-პატრონობით ოქროს მოსავალი დააყენეს ბაღებში.

მართლაც, სასიამოვნოა ზემოდან დააკვირდეთ გმირის ბაღებს, თაფლივით ტკბილ თეთრ ბლებს, შავ ხარისგულას, „შამპანურ რენეტს“, „ბანანს“, „ლონდონის პეპინს“.

ქ. ლიაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სერგო ორჯონიკიძე

დაბადების 80 წლისთავისათვის

„უაღრესად ერთგული და უაღრესად საქმიანი რევოლუციონერი“ ეს სიტყვები ეკუთვნის ვ. ი. ლენინს, ასეთად თვლიდა იგი სერგო ორჯონიკიძეს.

გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძემ, ვ. ი. ლენინის ერთგულმა მოწაფემ და უახლოესმა თანამებრძოლმა, პროლეტარული რევოლუციონერის დიდი და ძნელი გზა განვლო. მთელი თავისი ძალა, ცოდნა და შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი სერგომ მოახმარა მუშათა კლასის, რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

სერგო ორჯონიკიძე დაიბადა ხარაგოულის რაიონში, სოფელ ღორეშაში. იგი ადრე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1903 წელს სერგო უკვე რსდმპ რიგებშია. ამ დროიდან მოკიდებული სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ერთგულად ემსახურებოდა პარტიას, მუშათა კლასის საქმეს.

სერგო იყო ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლების ერთერთი ხელმძღვანელი, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების ორგანიზატორთაგანი. იგი ასრულებდა პარტიის უაღრესად რთულ და საპასუხისმგებლო დავალებებს ვ. ი. ლენინის მითითებით, რომელთანაც სერგოს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა. ის აწყობს საზღვარგარეთიდან რუსეთში ბოლშევიკური ლიტერატურის შემოზიდვას ირანის გზით. 1910 წლის დამლევს ის უკვე პარიზშია. აქ იგი პირველად შეხვდა პარტიის ბელადს ვ. ი. ლენინს. ლონჟიუმოს (პარიზიდან 18 კილომეტრის დაშორებით) პარტიულ სკოლაში სერგო ისმენდა ლენინის ლექციებს სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის, პოლიტიკური ეკონომიის, აგრარული საკითხისა და სხვათა შესახებ.

სერგომ უდიდესი როლი შეასრულა პრაღის პარტიული კონფერენციის მომზადებისა და ჩატარების საქმეში. 1917 წლის ოქტომბრის ისტორიულ დღეებში სერგო, მტკიცედ ასრულებდა რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო დავალებებს, თანმიმდევრულად იცავდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარებისათვის ბრძოლაში ლენინურ პოზიციებს.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში სერგო გვევლინება როგორც წითელი არმიის ერთერთი გამოჩენილი პოლიტიკური ხელმძღვანელი. უდიდესი ენერგია, სამხედრო ნიჭი და გამოცდილება მოახმარა სერგომ ჩრდილოეთ კავკასიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხების განთავისუფლებას უცხოეთის იმპერიალისტებისაგან, მშრომელთა ინტერესების მოღალატე მენშევიკებისაგან, მუსავატისტებისა და დაშნაკებისაგან.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ სერგო ეწევა დიდ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. 1921-1926 წლებში იგი სათავეში edga ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს. 1926-1930 წლებში, როდესაც დაიწყო გადასვლა სახალხო მეურნეობის აღდგენიდან მის რეკონსტრუქციაზე, სერგო ხელმძღვანელობდა პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას. 1930 წლის 10 ნოემბერს სერგო დაინიშნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად.

სერგოს სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული საბჭოთა სინამდვილის ერთერთი შესანიშნავი მოვლენა — ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლების ცნობილი მოძრაობა, რომელსაც პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევდა, სერგოს ინიციატივით კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში ფართოდ იქნენ ჩაბმული ქალები. აქტივისტი ქალების უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ათობით ახალი საბავშვო დაწესებულება, კლუბი, სკოლა. მათი ხელმძღვანელობით დაიწყო ბრძოლა სახადილოებში, საერთო საცხოვრებლებში, ქარხნებსა და ფ [illegible] აისუფთავის დაცვისათვის. 1936 წლის მაისში სერგოს ინიცატივით მოსკოვში მოწვეულ იქნა ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლების სრულიად საკავშირო თათბირი, რომელსაც თვითონვე თავმჯდომარეობდა და სიტყვითაც გამოვიდა. თავის სიტყვაში მან მოუწოდა ჩვენი სამშობლოს



სერგო მეუღლესთან ერთად

ქალიშვილებს, ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლებს თავიანთ ქმრებთან ერთად ჩამდგარიყვნენ სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებში.

პარტიისა და ხალხის სამსახურში სერგო ამაღლდა ლენინური ტიპის გამოჩენილი ხელმძღვანელის დონემდე, მისთვის არ არსებობდა სხვა ინტერესები, გარდა თავისი ქვეყნის ინტერესებისა.

საბჭოთა ადამიანები სათუთად ინახავენ ცარიზმისა და ბურჟუაზიული უღლისაგან ჩვენი ხალხის განთავისუფლებისათვის, სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის დაუღალავი მებრძოლის — სერგო ორჯონიკიძის ნათელ ხსოვნას.

პ. ივანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ცხოვრება მერხებთან

თითქოს ვარდის ყვავილობა იყოს, ისე გადაპენტილა სასწავლებლის ეზო მოსწავლეებით.

ყველაზე პატარები ერთად შექუჩებულან, დედებისათვის ხელები ჩაუკიდნიათ, შიშჩამდგარი თვალებით შეჰყურებენ მასწავლებელს, მარიამ მატარაძეს. შემდეგ ისინი გარინდულნი სხედან მერხებზე და ინტერესით უსმენენ ღვაწლმოსილ პედაგოგს, წლობით შეძენილი გამოცდილება მათთან რომ მოიტანა.

დაფაზე ჩნდება პირველი ასოები. ფაქიზად წერენ წლების სიმრავლით ნაოჭებშეპარული ხელები, აღმზრდელის ხელები.

მარიამ ლუარსაბის ასული მატარაძე 30 წელზე მეტ ხანს ასწავლიდა ამიერკავკასიის რკინიგზის პირველ საშუალო სკოლაში დაწყებით კლასებს.

— მზია, რა დახატე? — ყვავილები. შენ, რამაზ? — მზე და ცისარტყელა. — დგას მერხთან და ათვალიერებს პატარების ნახატებს, იწონებს ნამუშევრებს, ინტერესს უღვიძებს ბავშვებს, რომ ხვალ უფრო კარგად დახატონ, ზეგ — უკეთესად.

რამდენი რამ აგონდება მარიამ მატარაძეს 46 წლის პედაგოგიური მოღვაწეობიდან. ერთი ცელქი მოსწავლე ჰყავდა. პირველ დღეებში პატარას მერხზე ჯდომა უჭირდა, ვერ ისვენებდა, გარეთ იწევდა. მასწავლებელმა მასთან სისტემატური მუშაობით, მისი თავისებურებების შესწავლითა და მეთოდური მიდგომით სასურველ შედეგს მიაღწია. ბავშვი მისათითებელი შეიქნა დისციპლინისა და სწავლის მხრივაც.

ზოგიერთები ავადმყოფობის გამო ვერ სწავლობდნენ, გაკვეთილებს აცდენდნენ. ასეთი იყო პატარა თამრიკო. იგი ჩამორჩა თანაკლასელებს. გაკვეთილების შემდეგ მარიამი სკოლაში ტოვებდა მას, მოისვამდა გვერდით, ასწავლიდა, განუმარტავდა. თამრიკო წარჩინებული მოსწავლე გახდა. რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი მარიამ მატარაძე ახლაც ხშირად ამბობს: „უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ბავშვი კარგად სწავლობდეს, კლასში ჩამორჩენილები არ უნდა გვყავდეს. პედაგოგი უნდა იყოს მომთხოვნი, ზოგჯერ მკაცრიც და სასურველ შედეგს უსათუოდ მიაღწევს".

მარიამ მატარაძე დიდ დახმარებას უწევდა დამწყებ პედაგოგებს. მზია ფარცვანიას მან ჩაუნერგა სკოლისა და ბავშვების სიყვარული. ამიტომ იყო, რომ ახალგაზრდა გოგონამ გადაწყვიტა გამოცდილი მასწავლებლის გზას გაჰყოლოდა, სწავლა განაგრძო პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და პედაგოგიური პრაქტიკა რკინიგზის პირველ საშუალო სკოლაში — მარიამ მატარაძესთან გაიარა. მარიამმა მზიას თავისი მუშაობის ხერხები და მეთოდები შეასწავლა და როცა მზიამ რკინიგზის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, გამოცდილმა ადამიანებმა მასში მზარდი პედაგოგი დაინახეს. და შემთხვევითი არ იყო, როცა წელს მარიამ მატარაძე პენსიაში გავიდა, იგი მისმა ამაგდებულმა ახალგაზრდა პედაგოგმა მზია ფარცვანიამ შესცვალა. მარიამ მატარაძისგან ისწავლეს ბავშვებთან მუშაობა გიული ცომაიამ, ცისანა ყურაშვილმა, ნუნუ ცინცაძემ, ჟუჟუნა მელიქიშვილმა და სხვებმა.

დაწყებითი კლასების მეთოდურ გაერთიანებაში ხშირად მსჯელობენ მოსწავლეთა აღზრდის საჭირბოროტო საკითხებზე. ამ გაერთიანებას წლების მანძილზე რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი მარიამ მატარაძე ხელმძღვანელობდა.

აღზრდილებისაგან ბევრი წერილი მოსდის მარიამს. წერილების დასტა საგულდაგულოდ აქვს შენახული, რადგან ისინი მისი გავლილი წლებია, ერთად აკინძული და სასოებით შენახული.

ეთერ ჯაფარიძე

# დიდი სიყვარული...

...სჭირდებათ პატარებს, უმწეო ჩვილებს, რომელთაც ზოგჯერ საავადმყოფოში ვარქმევთ სახელს. ჩემი სტუმრები ხომ ხშირად ათიოდე დღის. ახალშობილები არიან. მათი სიფრიფანა ფილტვები და ნაზი სასუნთქი გზები ვერ უძლებენ ტემპერატურის ოდნავ ცვალებადობასაც კი, მაშინვე ცივდებიან, ემართებათ ფილტვების ანთება. მაღალი სიცხის გადატანა უჭირს სათუთ ორგანიზმს და პაწია ავადმყოფები წყლიდან ამოყვანილ თევზებს ემსგავსებიან.

უნდა მივეშველო, გადავარჩინო ახალი სიცოცხლე. იმედით შემომცქერიან დედის თვალები. მას სტკივა შვილის ტკივილი. ო, როგორ მესმის მისი, გამომიცდია ეს მწარე, შინაგანი ტკივილი, დაგვიანებული, მძიმე შემთხვევის დროსაც კი დედის გული არ იჯერებს, რომ სასწორზე ჰკიდია მისი ბავშვის ბედი.

...არ ვიჯერებდი მეც, როცა ერთადერთი ნუგეში ხელიდან მეცლებოდა. როცა დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ, კოლეგებმა საბოლოოდ დაასკვნეს: ამაოა ყოველგვარი ცდა. როგორ შევრიგებოდი იმ აზრს, რომ აღარ მეყოლებოდა ერთაშვილი. მე არ ვიყავი მაშინ პედიატრი (ეს გზა ავირჩიე ჩემი ბიჭიკოს გამოჯანმრთელების შემდეგ), მაინც თვითონვე ვუმკურნალე საკუთარ შვილს. შევძელი შეუძლებელი, გადავლახე ყოველგვარი სიძნელე, საშიში კრიზისები და ხელმეორედ სიცოცხლე ვაჩუქე მას. გაოცებული იყო ყველა, ვისაც კი ჩემი ავადმყოფი ბავშვი ენახა.

მაშინ აღმოვაჩინე ჩემი ნამდვილი პროფესია. შემიყვარდა პედიატრია — ნორჩი სიცოცხლის სადარაჯო. ვიპოვე საკუთარი თავი, ჩემი შესაძლებლობები.

* * *

თეთრწყაროში მუშაობის შემდეგ, მრავალი წელი გაატარა ქეთევან ბაქრაძემ თბილისის ოქტომბრის რაიონის ბავშვთა მესამე საავადმყოფოში. მუშაობდა ორდინატორად, უფროს ორდინატორად, ჩვილ ბავშვთა განყოფილების გამგედ. იყო გაერთიანებული საავადმყოფოს პარტბიუროს მდივანი.

მაგრამ სად უნდა იყოს ქეთევანი, რომელ თანამდებობაზე, რას უნდა აკეთებდეს, რომ პალატაში დატოვებული შვი-



ქეთევან ბაქრაძე ამოწმებს პატარა პაციენტის ჯანმრთელობას

ლობილები, მათი უმანკო სახეები თან არ დაყვებოდეს. მისი თეატრი და კინო ხომ ისინი არიან, მათთან გატარებული ცხოვრების უმეტესი საღამოები.

იმ დღესაც, ჩვეულებრივ, გვიანობამდე უჯდა სამი თვის ბავშვის სასთუმალს. ავადმყოფს ფილტვების მძიმე ტოქსიკური ანთება ჰქონდა და შიშობდა.

ღამის სიჩუმეში ქალის ტირილი და ხმაური შემოესმა. ეტყობოდა, ვიღაც მოიყვანეს. მისაღებში რომ ჩავიდა, მართლაც მძიმე სურათი დაუხვდა: ახალგაზრდა დედას ხელზე ესვენა ბავშვი, შეშლილი სახით დაჰყურებდა და ცხარედ სტიროდა. გაფითრებული მამა და ნათესავები მედდებს რაღაცაზე ედავებოდნენ.

ქეთევანმა მტირალ დედას პაწაწინა გოგონა ჩამოართვა და იქვე გასინჯა. არ უფიქრია დიაგნოზზე, ისედაც ნათელი იყო: ძალზე დაგვიანებული ფილტვების ანთების შემდეგ განვითარდა კლინიკური სიკვდილი.

გათენებამდე არ ჩაუმუხლავს ქეთევანს: ჟანგბადის კარავი, ანტიბიოტიკები და აურომიკონი, ყველა სახის ვიტამინი, პლაზმა. ბავშვმა მოიხედა. შემდეგ კი, დაცული იყო კვების რეჟიმი, ჰაეროთერაპია და ქეთინო ჯოჯუა გადაარჩინეს.

უფრო მძიმე შემთხვევებიც ჰქონია ქეთევანს. ყველაზე საშიშია, როცა ერთ დაავადებას სხვა ავადმყოფობა დაერთვება და დაუძლურებული ორგანიზმი ბრძოლის უნარს ჰკარგავს. მით უფრო საშიშია, როცა ასეთი გართულებით ავადაა ძუძუთა ბავშვი. არის შემთხვევები, როცა, თითქოს მედიცინა უძლურია, მაგრამ სასწაულებს ახდენენ პრაქტიკოსი მკურნალები. მათ რიცხვში თამამად დავაყენებთ ქეთევან ბაქრაძეს და გავიხსენებთ მძიმედ დაავადებულ ბავშვებს — ექვსი თვის ტყიბულელ ნუგზარს (გულის მანკი ზედ დართული ფილტვების ანთებით) და ექვსი კვირის ბოლნისელ კახას, დაავადებულს სეფსისით. ისინი ქეთევანმა დაიხსნა სიკვდილისაგან.

პედიატრიაში დიდმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ ქეთევანს ასწავლა, მძიმე ავადმყოფი არავის ანდოს: თვითონ აძლევს წამლებს, თვითონ უკეთებს ნემსებს; ავადმყოფის სასთუმალთან ათევს იმდენ დღე-ღამეს, რამდენიც საჭიროა გამომჯობინებისათვის. აი, ქეთევანის საბრძოლო იარაღები, მისი მაგიური ძალა, რომლითაც ის ყველაზე ვერაგ დაავადებასაც კი ამარცხებს.

ამ ორიოდე წლის წინ ქეთევან ბაქრაძე თბილისის პირველი მაისის რაიონის ბავშვთა მეორე გაფართოებული (აქ შედის 2 პოლიკლინიკა და დიღმის მასივის ფილიალი) საავადმყოფოს მთავარ ექიმად გადაიყვანეს. ორგანიზატორული მუშაობა დაიწყო იქიდან, რომ პირველ რიგში კარგი სპეციალისტები შემოიკრიბა: ქირურგი მარგარიტა ნატროშვილი, ორდინატორი დარეჯან იოსელიანი, ნევროპათოლოგი ვენერა სეფიაშვილი, პედიატრები: განყოფილების გამგე თალიკო ჩეჩელაშვილი და თამარ მშვენიერაძე; ექთანები თამარ ექიზაშვილი, ნინო ჩიკვაიძე, სარა კოჟელოტი და სხვები.

ახლა საავადმყოფო ახლებურადაა მოწყობილი. უახლესი ინვენტარი და სამედიცინო იარაღები, სიმყუდროვე, იდეალური სისუფთავე დერეფნებიდან სამზარეულომდე. აქ არ იგრძნობა 170 ავადმყოფი ბავშვისა და მათი დედების თვეობით ცხოვრების აურზაური.

მხოლოდ მთავარი ექიმის იმედიან ხმას და ნაბიჯებს სცნობენ დედები. მისი დღე იწყება ძალიან ადრე და მთავრდება ყველაზე გვიან. ზოგჯერ არც მთავრდება და მომდევნო დღეს გადაებმება. როცა საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფია, ქეთევანი შინ არ მიდის, მასთან რჩება.

მოვიგონოთ ერთი შემთხვევაც: ქეთევანი ახალი მოსული იყო. საავადმყოფოში რემონტი მიმდინარეობდა და ავადმყოფებს არ იღებდნენ. ეზოში მანქანა შევიდა. ორი მამაკაცი სწრაფად გადმოვიდა და კიბეზე სირბილით ავიდნენ. ნაცნობი ექიმი იკითხეს. სამწუხაროდ, იქ არ დაუხვდათ და საშინლად შეწუხდნენ. ბაქრაძემ დახმარება შესთავაზა, ისინი შეყოყმანდნენ. ქეთევანი მაინც არ შეეშვა, გვერდით ჩაუარა და ქვევით ჩავიდა. კახეთიდან ჩამოეყვანათ 9 წლის ბიჭი. იგი მანქანაში იწვა და ცხვირპირიდან ტრავმული სისხლისდენით იცლებოდა. ცოტაც რომ დაგვიანებოდათ, შეიძლება, დაღუპულიყო. ქეთევანი მანქანაში ჩაჯდა და მძღოლს სასწრაფოდ ათარბეგოვის ქუჩაზე წაყვანა უბრძანა. იქ, ბავშვთა საავადმყოფოში, კოლეგებთან ერთად, ბავშვი პირველი საშიშროებიდან გამოიყვანეს და მერე, ვიდრე გამოსწერდნენ, ხშირად ნახულობდა.

ასეთი ინიციატივა ქეთევანის თანდაყოლილი თვისებაა. როცა ვინმეს უჭირს და მას შველა შეუძლია, გულგრილად ვერ უყურებს, უნდა იმოქმედოს. ზაფხულობით, როცა წყნეთშია, — იქ ბავშვთმრავლობაა და მარცხისა და ავადმყოფობის შემთხვევებიც ამიტომ ხშირია, — დედები მასთან გამორბიან საშველად. თუ მდგომარეობა სერიოზულია, ქეთევანი ბავშვიანად მაშინვე თბილისში, თავისი საავადმყოფოსკენ მიეშურება.

„მისი" საავადმყოფოდან ადამიანები გახარებულები გამოდიან. აი, ახლაც, ილია ჟივიძის ოჯახმა საავადმყოფოდან პაწაწინა გოგონა გამოიყვანა. აქ 13 დღის მიუყვანიათ, ახლა კი უკვე ხუთი თვისაა. ბოხი ხმით ბუბუნებს მილიციის სამმართველოს მუშაკი ილია: შვილზე უფრო საყვარელი, შვილიშვილი ყოფილა. ამ ციცქნა გოგოს ჯავრმა დამაბერა კაცი. მომაკვდავი მივუყვანეთ ქეთევანს და, დაილოცოს მისი ქალობა, გაზრდილი გოგო ჩაგვაბარაო. ისე დიდია ჩვენი მადლიერება, რომ ვერ გამოვხატავთ, ვერ გავზომავთ, ვერ ავწონითო.

* * *

მთავრობის ჯილდოების გვერდით უამრავი მადლობის წერილი და ღია ბარათია. რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს ქეთევან ბაქრაძეს სწერენ მისი გადარჩენილი პატარები, ახლა უკვე დავაჟკაცებულნი და დიდ გზაზე გასულნი...

მომხიბლავი ღიმილი უნათებს სახეს. წარმოიდგენს დაზრდილებს, დავაჟკაცებულებს და კვლავ პატარების პალატებისკენ მიიჩქარის, უმათოდ სიცოცხლე ვერ წამოუდგენია. მათთან იწყება ქეთევანის დღე და მერე მათი ჯანმრთელობის ზრუნვაში ღამდება. დიდ ამაგს სიყვარული მოაქვს, მისი დიდი სიყვარული...

ირმა ჩოფიკაშვილი



# ნადია ბებია

სოფელ ზემო მესხეთის ერთ კოხტა, ხეხილით დამშვენებულ ეზოში უჩვეულო ფუსფუსი შევნიშნე: გრძელ სკამებზე ოცდაათზე მეტი ქალი და კაცი ჩამომსხდარიყო, მათ ახალმოსულებიც ემატებოდნენ...

— რა ამბავია? ცუდი ხომ არაფერი მომხდარა? — შევეკითხე ჭიშკართან მდგარ გოგონას.

— არაფერი, დიდ ბებიას დღეობას ვუხდით...

— რამდენი წლისაა თქვენი ბებია?

გოგონა გაწითლდა, უკან მოიხედა, უფროს ძმას მოუხმო ჭიშკართან...

— ვინ გნებავთ? — მკვირცხლად მკითხა ბიჭმა.

— რამდენი წლისაა თქვენი ბებია?..

— ოთხმოცდაათისა. აი, ხედავთ, მის ირგვლივ ვინც არის, ყველა მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილებია...

ვინ არ იცნობს სოფელ ზემო მესხეთში (წყალტუბოს რაიონი) ნადია ლალაძეს, შესანიშნავ კეთილ ადამიანს, რომელიც თავისი გამრჯე შრომით და ოჯახისათვის თავდადებით სამაგალითოა მთელი სოფლისათვის.

ნადია ივანეს ასულ ლალაძეს შარშან 90 წელი შეუსრულდა და მისმა მრავალრიცხოვანმა ოჯახმა გადაწყვიტა დღეობის გადახდა... ეს აზრი უფროსმა ქალიშვილმა ქეთევანმა (იგი 72 წლისაა) გაუმხილა დედას:

— დიდი ნაშრომ-ნატანჯი ქალი ხარ, დედა, ერთ საღამოს თავს შევიყრით ყველანი და გადღეგრძელებთ...

მოხუცს ცრემლები მოერია.

— თქვენ რომ ყველას ერთად დაგინახავთ და დაგკოცნით, ჩემი დღეობა ის იქნება, შვილო!

იუბილე შესანიშნავად ჩაატარა ნადიას ჯალაბობამ მიმდინარე წლის მაისში. მადლიერმა შვილებმა, შვილიშვილებმა და შვილთაშვილებმა დღეგრძელობა უსურვეს მას და საჩუქრები მიართვეს.

ნადიას ექვსი შვილი (ერთი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი) ჰყავს. ვაჟი თბილისში მუშაობს, ექიმია, ერთი ქალიშვილი პედაგოგია, ერთი ექთანი, დანარჩენები კი დიასახლისები არიან; 30 შვილიშვილთაგან 17 სრულწლოვანია, ისინი სხვადასხვა პროფესიით მუშაობენ, დანარჩენები სტუდენტები არიან. შვილიშვილებს (7 გათხოვილია, 5 ცოლიანი) ჰყავთ 35 ბავშვი. ნადია მოესწრო მეოთხე მოდგმას — ჰყავს სამი შვილიშვილის შვილიშვილი. სულ მისი ჯალაბობა 74 კაცისაგან შედგება.

დიდხანს იცოცხლოს კარგი ოჯახის დედაბოძმა ბებია ნადიამ!

ლალი ლალიაშვილი

ფოტო გ. [illegible]



# ნაზირათი

ცხინვალის მომშინანქრებელი სადენების ქარხანაში ამდიდავად მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნაზირათ სანაკოევა.

რთული და პასუხსაგებია ამდიდავის საქმიანობა. უთვალავი სხვადასხვა ზომის სადენი გადის ნაზირათის ხელში. სადენს სათანადო ზომა და დამუშავება სჭირდება. ამას კი გამოცდილი, საქმის კარგად მცოდნე ადამიანის გარდა ვერავინ შესძლებს. იდგე ორ დაზგასთან და 18-ჯერ დააწვრილო სადენი, არც ისე ადვილია. უწვრილესი სადენი მზის სხივივით ელავს დაზგის კბილებს შორის. ნელ-ნელა წვრილდება და ბოლოს თმის ღერივით ნაზი და შეუმჩნეველი ხდება. ცვლაში 80 კილოგრამი ასეთი სადენი უნდა გამოუშვას ამდიდავმა, ნაზირათი კი 40, ზოგჯერ 45 კილოგრამს უშვებს. შემდეგ მზა პროდუქცია უზარმაზარ ხის კოჭებზე ეხვევა და მეზობელ საამქროში მიდის. ქარხნის ეზო სავსეა ასეთი კოჭებით, მათზე სხვადასხვა ზომის სადენია დახვეული.

ჩვენი ქვეყნის ბევრ საწარმოში მიდის ცხინვალის ემალსადენი ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია. ყველგან კმაყოფილნი არიან ცხინვალელთა შრომით. მადლიერებით იხსენიებენ ქარხნის კოლექტივს. ეს მადლობა ყველას ეკუთვნის, პირველ რიგში კი — ნაზირათ სანაკოევას.

— ნაზირათს რომ ვხედავ, ჩემი ახალგაზრდობა მიდგას თვალწინ. ცეცხლი გამოდის ხელიდან, — სიყვარულით ამბობს ნაზირათის პირველი მასწავლებელი ქარხანაში პანტელეი მოსკალევი. მას სხვებიც ეთანხმებიან, რადგანაც ნაზირათი მათ თვალწინ აღწევს წარმატებებს.

საწარმო ახალგაზრდაა. ნაზირათი რომ პირველად აქ მოვიდა, სადენის ქარხანა პირველ ნაბიჯებს დგამდა. ერთად დავაჟკაცდნენ ქარხანა და ნაზირათი, ერთად გაითქვეს სახელი.

ნ. ჯავახიძე





თამარ ჩხაიძე

# გულდა

იმ დღესაც დიდხანს ალვიძა დედამ გულდა:

— გაიღვიძე, შვილო, გაიღვიძე!

— მეძინებაა! — ლუღლუღებდა გულდა და არ იღვიძებდა.

— ადე, შვილო, ადე, გადადენე ბოჩოლა, — სთხოვდა გულდას დედა.

— მეზარებაა! — ბურტყუნებდა გულდა და არ დგებოდა.

მაშინ დედამ კარადიდან მისი ახალი ბლუზა გამოიღო და ცხვირწინ აუფრიალა. სჭყიტა თვალები გულდამ, გადაიცვა ბლუზა. სახრე ხელში აიღო, ლამაზა წინ გაიგდო. მიდიოდა საძოვრისკენ, მიღიღინებდა:

— დედამ ბლუზა შემიკერა, აი, ნახეთ როგორი, აი, ნახეთ როგორი! — გულზვიადად მიდიოდა გულდა, ტოლებში თავს მოვიწონებო, მაგრამ ისინი ადგილზე არ დაუხვდნენ. მდინარის ნაპირიდან ისმოდა მათი შეძახილები:

— იშშოო, იშშო!

— ჰამოო, ჰმოო!

— დახეთ, ნახირი ერთი პირი გაუძღიათ და წყლის სასმელად ჩაუდენიათ! — აბუზღუნდა გულდა და ლამაზაც მიუშვა ბალახზე. მალიანად შეექცეოდა ლამაზა, გულდას კი გული მოლოდინით ელეოდა, როდის მოვლენ ტოლები, თავი როდის მოვიწონოო. ბოლოს გადაწყვიტა: მოდი, ცოტას წავიძინებ და დროც ჩქარა გაივლისო.

ასეც მოიქცა. ჯერ ლამაზა მიაბა თოკით ხეზე, ყანებისაკენ არ გაიწიოსო, შემდეგ თავი ხის ძირს მიადო და ხვრინვა ამოუშვა.

მოიბალახა ირგვლივ ლამაზამ, გაკრიჭა სუფთად ველი, უფრო შორს კი თოკი არ უშვებს.

— მოო, მორჩი ძილსო, — დაბზლავლა გულდას. არ გაიღვიძა გულდამ.

— ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ! — დაუბრახუნა ფეხები, — თვალები გაახილეო.

— ხრრ-ხრრ! — ხვრინავდა გულდა და არ იღვიძებდა.

შიოდა ლამაზას, ძალიან შიოდა და ბალახი რომ ვერ ნახა, ბლუზა მოიბალახა. მწვანე იყო გულდას ბლუზა, მწვანე, მწვანე მოლივით. მიადგა ლამაზა, მოუსვა ხორკლიანი ენა, ლეჭა, ლეჭა, კალთა შემოალეჭა.

სწორედ მაშინ ამორეკეს სოფლის გოგო-ბიჭებმა მდინარიდან ნახირი. გულდასაც მაშინ გაღვიძებოდა და ტირილით ამბობდა:

— ბოჩოლა კარგად ვმწყემსეო, მაგრად მივაბი ხეზეო, მე ვიწექი თეძოზე, მწვანე, მწვანე ფერდობზე, საძაგელმა ლამაზამ კი ბლუზა გამილამაზა: აი, ნახეთ როგორ, აი, ნახეთ როგორ!

— შენისთანა ზარმაცსა და ძილისგუდას, ეგრე უნდა, ეგრე უნდა! — შესძახოდნენ ტოლები და სიცილით იჭაჭებოდნენ. მიუღლექსეს კიდეც:

— მოდი ვნახოთ გულდა, ვინ უღეჭა ბლუზა,
მივედით, ვნახეთ გულდა, ხბომ უღეჭა ბლუზა!

შერცხვა გულდას. უფრო მწარედ აქვითინდა. მაგრამ მოგეხსენებათ, თითო ჭირი მარგებელიაო.

იმ დღიდან გულდა ბეჯითია მუდამ: სკოლაშიც, შრომაშიც, გარეთაც და შინაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ გოგუაძე

# ნოველები



მხატვარი ლია ხვანიძე

## ნისლიანი

იგი შუაღამისას მოიყვანეს. საშინელი ტკივილები ჰქონდა.

— გაცილებით უკეთ გამოიყურებით! — ღიმილით უთხრა ექიმმა დილით, როცა პალატაში შევიდა.

მან ნაძალადევად გაუღიმა ექიმს. იგი გულაღმა იწვა საწოლზე, ფერმიხდილი. გამხდარი ხელები გულზე დაეკრიფა და გარინდებულიყო. რაც ტკივილები გაუყუჩდა, მას შემდეგ დაძინებას მაინც არ ცდილა. რამდენჯერ სცადა, სულ აღარ ეფიქრა, მაგრამ ამაოდ. ატყობდა, უკვე ნერვები ღალატობდა.

პალატაში ბორბლიანი საწოლით ქერა ქალი შემოაგორეს. კართან ახლოს დააწვინეს. თვალები ებლიტებოდა მოქანცულს. მალე ჩაეძინა.

ლია ყურს უგდებდა ქალის თანაბარ სუნთქვას. მისი მზერა ქალის მიღმა, ქვეყნის დასალიერს წვდებოდა. „არ იცი, რა მოგელის, როცა თვითონ უნდა წარმართო შენი ცხოვრების გეზი...“ — ფიქრობდა იგი.

ფანჯარაზე ჩამოფარებული ფარდა მზის სხივმა ყვითლად გაანათა. რაფაზე დადგმული ყვავილიანი ქოთნის სილუეტი გამოჩნდა.

ფარდის უკან ბუზი აზუზუნდა. მერე მოისმა, როგორი თავგანწირვით დაეძგერა იგი შუშას.

ეზოს ჭიშკარმა გაიხმიანა.

ლიამ ოდნავ წამოიწია. ფანჯარაზე ფარდა გადასწია და გაიხედა.

ეზოში შემოსული მანქანა გაკვირტულ ტყემლის ხესთან გაჩერდა.

მანქანიდან ახალგაზრდა ქალი გადმოიყვანეს. ქალს სქელი დედაკაცი შეუდგა მხარში. შენობის შემოსასვლელისკენ გამოემართნენ. შემოსასვლელთან რამდენიმე მამაკაცი იდგა და პაპიროსს ქაჩავდა.

პროზექტურის მიხურულ კართან ხნიერი დარაჯი ჩამომჯდარიყო. მზის გულზე მყოფი მშვიდად აბოლებდა თუთუნს. იქვე კიბესთან შავი კატა წრიალებდა.

ლიამ თვალი მოარიდა პროზექტურას. ეზოს გადაღმა მზეზე მოელვარე ეკლესიის ქონგურს გახედა. ზარის რეკვა შემოესმა. იგი ერთ ხანს ქონგურთან მოფარფატე მტრედებს მისჩერებოდა, მერე პროზექტურის შეღებილ მინებისკენ გაექცა მზერა. წამით გარინდდა. ხელი უშვა ფარდას. ბალიშზე მიესვენა. კვლავ ჩამოწვა ჩრდილი საწოლზე.

სულ უფრო უმძიმდა სუნთქვა. დაჟინებით მიაჩერდა საწოლის ზურგს. „როგორ შეიძლება ყოველთვის სხვა გაამტყუნო, როცა შენ თვითონ ხარ ბრიყვი... თუმცა კარგია, რომ ასე მოხდა, რად მინდოდა მისი ნაშიერი?!“ — ფიქრობდა იგი.

პალატაში სამნი შემოვიდნენ გაღიმებული სახით. სამივე ქალი მაღალი იყო. ერთ იმათგანს აყვავებული იასამნის ტოტი ეჭირა ხელში.

ქერა ქალის საწოლთან მივიდნენ. ძლივს ჩაუდგეს სული მკვდარივით ჩაძინებულს. ბიჭის დაბადება მიულოცეს.

ლია მეორე მხარეზე გადაბრუნდა. იგი ფრჩხილებით ფხაჭნიდა კედელს.

## სახლი მთის ძირას

აგვისტოს თბილი საღამო იყო.

ისინი მდუმარედ ისხდნენ ეზოში, ვეება ლოდზე.

ბოძზე დაკიდული ნათურა მკრთალად ანათებდა ეზოს.

ქალს თხელი სარაფანი ეცვა. კაცს უსახელო მაისური შემოტმასნოდა ბეჭებზე.

დროდადრო მთიდან მონაბერი ნიავი აშრიალებდა თუთის ფოთოლს.

კაცმა სახეში ჩახედა ქალს და გაუღიმა. ქალი დუმდა. იგი უნდოდ გადასცქეროდა გაჩირაღდნებულ ქალაქს. იმ დღეებს იგონებდა, როცა პირველად ჩამოვიდნენ სოფლიდან და აქ დასახლდნენ. თავიანთი ხელით ააშენეს ეს პატარა სახლი. საღამოობით ფეხშიშვლები ისხდნენ ეზოში, ბავშვობაში გაგონილ ლექსებს ამღერებდნენ ხოლმე ფანდურზე.

— კარგი რა, მზექალა! — ახლა ხმამაღლა გაუცინა კაცმა და ხელი გადახვია. ქალს ჟრუანტელმა დაუარა ტანში; ხელის ოდნავი შეხებით მოიშორა ქმარი.

კლდიდან ჩამოგორებულმა ქვამ გაიხმიანა სახლის სახურავზე.

კაცი ნელა წამოდგა. ერთი მიხედა ცოლს და სახლისაკენ წავიდა.

ქალი ისევ ისე იჯდა გარინდებული. „ყველაფერი უშვილობის ბრალია“, ფიქრობდა იგი და მთაზე აღმართულ ქალის ვეება ქანდაკებას მიჩერებოდა.

კაცმა სახლიდან რევოლვერი გამოიტანა, რომელიღაც ჯაზურ მელოდიას ღიღინებდა თან. რევოლვერიდან სავაზნე გამოიღო, ტყვიები ბოძის ქვეშ ფიცრებისაგან სახელდახელოდ გაკეთებულ მაგიდაზე წამოჰყარა.

ქალი ხან რევოლვერს, ხან კი ქმრის დაკუნთულ მკლავებს მისჩერებოდა.

კაცმა კარგად გააპრიალა რევოლვერი ჩვრით. მერე ისევ ჩააწყო ტყვიები სავაზნეში.

კაცი ოთახში რომ შევიდა, ცოლი საწოლთან დაუხვდა. სახე შეფაკლოდა.

უნდოდა წამით დაეჭირა მამაკაცის მზერა. კაცი გრძნობდა, ქალის თვალები რომ მისჩერებოდნენ. იგი კვლავ აკვიატებულ მელოდიას ღიღინებდა და თან პერანგს ისწორებდა სარკეში. მერე კედლიდან რევოლვერის ბუდე ჩამოიღო, მივიწყებულ ფანდურთან რომ ეკიდა. რევოლვერი შიგ ჩადო და წელზე მიიმაგრა. თავზე ქუდი დაიხურა და მსუბუქი ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან.



ქალი კარის ზღურბლთან იდგა, თვალი არ მოუცილებია ქმრისათვის.

გაიხმიანა ჭიშკარმა.

სულ უფრო მკრთალად მოისმოდა ქალაქში მიმავალ ბილიკზე ფეხის ხმა. ქალს სუნთქვა ეკვროდა, სწორედ ამ ბილიკით ამოჰყვა ქმრის პერანგს სუნამოს სუნი ქალაქიდან.

მთაზე აღმართული ქალის ქანდაკება ფერმკრთალმა მთვარემ გაანათა.

ცაზე ვარსკვლავები აკიაფდა. მჩქალას სოფლის ცა დაუდგა თვალწინ. ქმრის საწოლთან მივიდა, ბალიშზე დაემხო და ხმამაღლა აქვითინდა.

# გვირაბები

მათ ფრთხილად მიჰქონდათ საკაცე. გვირაბში მონოტონურად გაისმოდა განძელებზე მძიმე ნაბიჯების ხმა.

ბიჭი გულაღმა იწვა საკაცეზე. თვალები გაახილა. ყვითლად მბჟუტავი ელექტრონათურების შუქზე თანდათან გაარჩია ჭილის ქუდის ფარფლი და წინგამოშვერილი ნიკაპი. მერე ჩაბალახიანზე გადაიტანა მზერა.

„კიდევ კარგი, დედაკაცთაგანმა არ დამლანდა, თორემ მთელ სოფელში შემიცხადებდნენ!“ — გაუელვა ფიქრმა. უხერხულად იწვა თხმელის ტოტებისაგან სახელდახელოდ გაკეთებულ საკაცეზე. ხერხემალი სტკიოდა. უნდოდა, გვერდი ეცვალა, მაგრამ ფეხის განძრევის ეშინოდა. მაგრად გადაკოჭილ ბარძაყს ფრთხილად ჩააყოლა ხელი, მერე გვერდზე ამოდებული ნაჯახის გრილ ყუას შეეხო თითებით.

„კარგად კი მქონდა ალესილი“, — გაიფიქრა.

უცებ ჟრჟოლამ დაუარა ფეხში, იგრძნო, როგორ გამოჟონა სისხლმა სახვევიდან... ნაჯახი ისე სწრაფად დაურჩა მოქნეული, რომ ტკივილის შეგრძნებაც ვერ მოასწრო. სისხლის სითბო შეიგრძნო მხოლოდ, ტერფს რომ უსველებდა...

უცებ თითქოს გვირაბი დატრიალდა. რაც ძალა და ღონე ჰქონდა, საკაცის კიდეებს მოუჭირა თითები. ცივმა ოფლმა დაუნამა შუბლი.

ბაყაყის შორეული ყიყინი მოისმა. ბიჭი საკუთარ ჩრდილს მიაჩერდა, შავ ფრესკასავით რომ მიცურავდა გვირაბის კედელზე.

— მაგის მამას სამი ვაჟკაცი ხელს ვერ მოჰკიდებდა, ერთად ვიბრძოდით. — ომახიანად დაიბუხუნა ჩაბალახიანმა. ხმა უმალ გვირაბის გასასვლელისაკენ გაიჭრა. ბიჭი ოდნავ წამოიწია იდაყვებზე, ფართოდ გახელილი თვალები მიაპყრო განიერ მხარ-ბეჭს. ალაგ-ალაგ ოფლს გამოეჟონა სატინის გახუნებული ხალათიდან. „ნეტავი ერთხელ მაინც მყავდეს ნახული მამაჩემი!“ — გაიფიქრა. სამზადის ბოყვებზე მიმაგრებული ირმის რქა და ოდის სხვენზე მიყრილი ველური ღორის ეშვები დაუდგა თვალწინ.

რაც თავი ახსოვს, იქიდან მოკიდებული, თავისთავად ეხატებოდა წარმოდგენაში მამის გარეგნობა. თითქმის დარწმუნებულიც კი იყო, რომ ზუსტად ისეთი უნდა ყოფილიყო მამამისი, სხვაგვარად ვერც კი წარმოედგინა... ახლაც ხედავდა: წელზე ბრტყელი ფალასკა ერტყა, ვეება ხელში ჩაბღუჯა ბერდანკა (თოფს სწორედ იმ ალაგას აჩნდა ნახელური). უცებ მწვავე ტკივილი იგრძნო ფეხში. კინაღამ კვნესა არ დასცდა. კბილი კბილს დააჭირა. შეწყვიტა სუნთქვა. „არასოდეს ეს გზა ასე გრძლად არ მომჩვენებია!“ — გაიფიქრა. ოფლის მსხვილი წვეთი ჩამოუგორდა ლოყაზე.

— ხომ არ გინდა რამე? — ჰკითხა ჭილისქუდიანმა და მარჯვენა მხარს შეაფხანა გაუპარსავი ნიკაპი. ბიჭმა ნელა გააქნია თავი.

გვირაბში თანდათან მატულობდა სინოტივე, შემჭვარტლული თაღიდან წყლის წვეთი ალაგალაგ ეცემოდა ძირს.

ბიჭს ოდნავ შეამცივნა. მაშინვე მიეძალა მამისეულ ოდაზე ფიქრი. დაფრანგული ქილიშები ვეღარ გაუძლებდნენ დიდთოვლობას. მაგრამ გულს უმაგრებდა წარმოდგენა იმისა, თუ როგორ შეესეოდნენ მის ოდას დასახმარებლად მოსული მეზობლები.

• თუმცა მაინც წყდებოდა გული, რომ პირველი ხის მოჭრისთანავე, შემოიკრა ნაჯახი ფეხზე. სოფელში ვერ გახდებოდნენ მოწმე იმისა, თუ რის გაკეთება შეეძლო მას. აღარ დააჩნდებოდა ოდას მისი ნახელავი.

„ეჰ, რაც მოხდა, ჯანდაბას, ახლა მთავარია, გვირაბს დავაღწიო თავი!“ — გაიფიქრა. ქვეშ გაფენილი გვიმრა მოგლიჯა, ხარბად მოსრისა. მცენარეს ჯერ კიდევ შერჩენოდა სინედლე.

გაილია გვირაბი.

შორით მწვანეში ჩაფლული თეთრი შენობა გამოჩნდა. „ეჰ, ახლა მამაჩემი რომ იყოს ჩემთან!“ — ნატრობდა ბიჭი და მზის სხივებით აელვარებულ ლილისფერ ცას შეჰყურებდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაგუ მეგურიშვილი

## დ ღ ე ე ბ ი

მხრებზე დღეების სიმძიმე გაწევს,
ყურებში მათი ექო გიწივის.
სითბოთი გვანან დღეები კაცებს,
დღეები კაცებს გვანან სიცივით;
ოცნების ლამაზ ბურუსში გხვევენ
და აცოცხლებენ სულში იმედებს,
მეგობრებივით ახლობელ დღეებს
დასავიწყებლად ვერ გაიმეტებ.
დღეები ქრიან ხან აღელვებით,
ხან დაღონებით, ხან ალტაცებით,
ხსოვნაში გრჩება კარგი დღეები
როგორც კეთილი, სათნო კაცები.

## მ ო ვ ა ლ

ხშირად გულზე მოგაწვება სევდად
მოუვლელი ვენახი და ყანა.
შენი სახის ნაოჭებში, დედა,
გატეხილი ღამეები წვანან.
იქნებ ისევ ავად ხარ და გთენთავს
სიცხე,
შუბლზე გაფენია ტილო...
მოვალ,
რათა დაგიძახო: — დედა!..
მოვალ,
რათა დამიძახო: — შვილო!..
მოვალ,
და თმა მომანათებს თეთრად,
მომიყვები მარტოობის ამბავს...
სიცოცხლე რომ დაგიხარჯე, დედა,
უცებ მიტომ დამიბერდი ალბათ.

## გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

იოვანას

თეთრი მკლავები,
მაღალი ყელი
და სავსე მკერდი მიფრინავს ზევით...
და ვინაწილებთ,
ვიზოგავთ ყველა
სულის ლტოლვას და ვნებების ზეიმს.
მზის სხივებივით მხურვალე ბგერებს,
ვგრძნობთ,
როცა თრთოლვით ბაგეს მოწყდება...
სულ მალე გავა პორტიდან გემი
და დაუტოვებს ნაპირს მოწყენას...
გემის საყვირი,
როგორც ნახვამდის,
გაისმის ცივად და შემზარავად;
დილაა,
მაგრამ უკვე დაღამდა
და ფრთა დაკეცა ფიქრის კარავმა...
და ხმას,
რომელიც ძალუმად ჟღერდა,
ახლა თანდათან ღონე ელევა
და განშორების უსაზღვრო სევდა
ლამაზ თვალებში ბრწყინავს ცრემლებად.

# ნატო ჩხეიძე

ნახევარი საათი დარჩა მოსკოვის მატარებლის გასვლამდე... მეტროს ესკალატორზე სირბილით ჩავდივარ, ეგებ მივუსწრო! როგორ მინდა, რომ მივუსწრო! დიდი ამბის მონაწილე ხდება და გზა მინდა დავულოცო.

რამდენჯერმე ავუარ-ჩავუარე, ზღვა ხალხში გაფაციცებით ვეძებ მის ახლობლებს, ამ გზით თუ მივაგნებ, თორემ ისიც არ ვიცი, რომელი ვაგონით მიდის. ამაოდ ვეძებე, გულდაწყვეტილი ვდგევარ სადგურის ბაქანზე და უსიტყვოდ, გულით ვულოცავ გზას...

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთები ბეჭდავენ ინფორმაციებს, რომ მოსკოვში გაიმართა მთარგმნელთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, სიმპოზიუმზე საქართველოდან სხვა მონაწილეებთან ერთად მოხსენება წაიკითხა მთარგმნელმა ნატო ჩხეიძემ. ძუნწად ნათქვამი სიტყვებია, მაგრამ ვიცი, მისი გამოსვლა საინტერესო იქნებოდა: როცა ადამიანს თავისი საქმე უყვარს, წარმატება და შემოქმედების სიხარულიც ყოველთვის თან ახლავს.

გუშინდელ დღესავით ახსოვს ნ. ჩხეიძეს, სულ პირველად სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“ და „სვანური ნოველები“ რომ თარგმნა. რევოლუციის შემდეგ ესენი ერთერთი პირველი მოთხრობები იყო, რომლებსაც რუსი მკითხველი გაეცნო და გულთბილად მიიღო კიდეც. ამ დროიდან მოკიდებული, ოცდაათ წელზე მეტია ნ. ჩხეიძე მთარგმნელის მეტად საპატიო, მაგრამ ძნელ ეწევა.

რთულია თარგმნის ხელოვნება, მთარგმნელისაგან იგი ზღვა ენერგიას, შრომისმოყვარეობას, ნებისყოფას, ცოდნას, ნიჭსა და ინტუიციას მოითხოვს.

ნ. ჩხეიძეს არ აკლდა არც შრომისმოყვარეობა, არც ცოდნა, არც ნიჭი და ინტუიცია, მისი ინტერესებიც ყოველთვის განსაკუთრებულად ფართო და მრავალმხრივი იყო.

ცხოვრებისა და სწავლის პირობებმა ჯერ კიდევ ბავშვობაში უდიდესი გავლენა მოახდინა მის ხასიათზე, მისი გონებრივი ჰორიზონტისა თუ ინტერესების ფორმირებაზე. ნ. ჩხეიძე დაიბადა ზესტაფონის რაიონში. 1905 წლის რევოლუციის დროს მათი ოჯახი ბათუმში ცხოვრობდა და ის დღეები ბავშვის ცნობიერებაში ღრმად აღიბეჭდა. დღესაც ცხადად ახსოვს, ბათუმის ქუჩებში, მკაცრი სახეებით „მარსელიოზას“ რომ მღეროდნენ ქარხნის მუშები და ცხენოსანი კაზაკები იარაღით ერეკებოდნენ მათ. შემდეგ მათი ოჯახი პეტერბურგში გადადის საცხოვრებლად და იგი სწავლას იწყებს პრეობრაჟენსკის ახალ საშუალო სკოლაში, რომელსაც საფუძველი პეტერბურგის ენთუზიასტმა მასწავლებლებმა ჩაუყარეს.

პრეობრაჟენსკის ახალ სკოლაში სწავლობდნენ მოწინავე ინტელიგენციისა და მუშების შვილები.

ამ სკოლაში დამკვიდრებულმა სწავლების სისტემამ უკან მოიტოვა მეფის რუსეთის სასწავლო დაწესებულებებში გამეფებული ჩამორჩენილობა და ერთფეროვნება. მასწავლებლები ცდილობდნენ მოსწავლეებში ცოდნისადმი ცოცხალი, შემოქმედებითი დამოკიდებულება გაეღვიძებინათ, შესასწავლი საგნისადმი ნამდვილი ინტერესი აღეძრათ. ისინი, თავისუფალ დროს, ბავშვებს ერმიტაჟსა და რუსულ მუზეუმში ატარებდნენ. ყველაფერი ეს კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა მოსწავლეებზე.

1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები გონებრივად უკვე მოწიფული ახალგაზრდის თვალწინ ხდებოდა და ნატო ჩხეიძე მუშათა სისხლით მოპოვებული თავისუფლებისადმი უდიდესი სიმპათიითა და პატივისცემით განიმსჭვალა.

შემდეგ კი კვლავ საქართველო! 1927 წელს ნ. ჩხეიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა... მერე კი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა და აქედან იწყება მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობაც.

ოცდაათიანი წლებისათვის თარგმანს ჯერ კიდევ არაორგანიზებული და შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

მწერალთა პირველმა საკავშირო ყრილობამ ჩამოაყალიბა სოციალისტური რეალიზმის პრინციპები, რამაც საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებას გარკვეული გეზი მისცა, თარგმანს კი — დიდი გასაქანი.



ფოტო გ. ხანაიახი

ქართული ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია, რუსი მკითხველისათვის პირდაპირ აღმოჩენა იყო. გამოჩენილი რუსი პოეტები გატაცებით თარგმნიდნენ ქართული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებს. ქართული ლიტერატურით ასე ძლიერ დაინტერესება ხალხთა მეგობრობის მეტად ღრმა გამოხატულებაც იყო. ეს გამოცოცხლება იმითაც აღინიშნა, რომ სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა და გამომცემლობა „გოსლიტიზდატმა“ სწორედ ამ პერიოდში მოაწყო კონკურსი საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურული ნიმუშების თარგმანებზე. ნ. ჩხეიძემ თარგმნა დემნა შენგელაიას იმხანად გამოსული რომანი „ბათა ქექია“ და კონკურსზე წარადგინა. თარგმანმა კონკურსზე პრემია მიიღო.

ნატო ჩხეიძეს სიყვარულის გარეშე არაფერი გაუკეთებია, არაფრისათვის მოუკიდებია ხელი, თუ იგი მის შინაგან მხატვრულ მოთხოვნილებას არ შეესატყვისებოდა; მაგრამ სხვა იყო მისთვის დიდი ქართველი რეალისტი მწერლის — დავით კლდიაშვილის შემოქმედება.

ძნელად დასაძლევი მასალა შემოქმედში ყოველთვის მეტ ინტერესს და შემოქმედებითი ძიების წყურვილს აღძრავს, გარდა ამისა, ნ. ჩხეიძე იმავე კ.,.ახიდანაა, სადაც ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ დ. კლდიაშვილის გმირები; ისინი მშობლიური, ახლობელი და თითქმის ხელშესახები იყვნენ მთარგმნელისათვის. მაგრამ მაინც ძნელია დ. კლდიაშვილის დიალოგების გადატანა სხვა ენაზე, ამ დიალოგებშია ხომ გახსნილი გმირთა ხასიათი, ფსიქოლოგია; თუ ამას დავუმატებთ იმერულ დიალექტს, იდიომურ გამოთქმებს და გმირთა ინტონაციებს, ნათელი იქნება, მართლაც, რა რთული იყო მოენახა მთარგმნელს მწერლისათვის ლექსიკური თუ ტონალური შესატყვისი. საქმის სიყვარული, ნიჭი და მონდომება დაეხმარა ნ. ჩხეიძეს, რომ წარმატებით ეთარგმნა არა მარტო დ. კლდიაშვილი, არამედ ძნელად სათარგმნი პ. კაკაბაძის პიესები, დ. შენგელაიას „ბათა ქექია“, მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“ და სხვ.

გარდა ამისა, ნ. ჩხეიძემ რუს მკითხველს გააცნო ი. გოგებაშვილის, ნ. ლომოურის, შ. არაგვისპირელის, შ. დადიანის, ლ. ქიაჩელის, ა. ბელიაშვილის, ბ. ჩხეიძის, კ. კალაძის, გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ი. გრიშაშვილის და სხვათა ნაწარმოებები. ავტორთა უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელყოფს, რა კეთილნაყოფიერია ნ. ჩხეიძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

ძალზე ბევრს ნიშნავს ათეული წლების ინტენსიური მუშაობით დაგროვილი გამოცდილება. და აი, თხუთმეტი წლის წინათ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა ნ. ჩხეიძის თეორიული ხასიათის წერილები მხატვრული თარგმანის აქტუალურ საკითხებზე. მთარგმნელობითი თეორიის ბევრი საყურადღებო საკითხით დაინტერესებულა ნ. ჩხეიძე და თავისი აზრი გამოუთქვამს პრესაში თუ მწერალთა კავშირში გამართულ დისპუტებზე. წელს კი მოსკოვში მონაწილეობა მიიღო მთარგმნელთა საერთაშორისო სიმპოზიუმში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიმპოზიუმს. მან ნათელჰყო, რომ საბჭოთა კავშირში ყველაზე უკეთესად, ვიდრე სადმე მსოფლიოში, ჩამოყალიბებულია მთარგმნელობითი სისტემა.

მწერალთა კავშირში მთარგმნელთა სიმპოზიუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ნატო ჩხეიძემ თავის მოხსენებაში მეტად საინტერესოდ ილაპარაკა „თარგმანის სიზუსტის კრიტერიუმის შესახებო“ და იმ წუთში მეგონა, რომ ჩემს გულით დალოცვასაც ჰქონდა ამაში გარკვეული წვლილი...

ნ. ჩხეიძის მომავალ გეგმაშიც მხატვრული თარგმანის თეორიის პრობლემებს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი რამდენიმე საინტერესო თემაზე მუშაობს: „მხატვრული თარგმანი, როგორც ხალხთა ურთიერთობის საშუალება“; „ბწკარედი მხატვრულ თარგმანში“; „როგორ ვთარგმნე დავით კლდიაშვილი რუსულად“ და სხვა.

ერთხელ საუბარში ნ. ჩხეიძემ თქვა: ბუნებით მაქსიმალისტი ვარო. იგი მართლაც თავის თავისადმი განსაკუთრებულად, გადაჭარბებულად მომთხოვნია და ბევრი რამეც გაუკეთებია, ისე კარგად გაუკეთებია, რომ მადლობის მეტს ვერაფერს ეტყვი... ისიც თავად უთქვამს, მთარგმნელის შრომა მაინც უმადურია. მთარგმნელზე პრინციპული რამ იშვიათად იბეჭდება და ავისა და კარგის გარჩევა აღარ არისო. ამას როცა ამბობს, თავისი პირადი თავმოყვარეობა კი არა, ისევ საქმის სიყვარული და გულისტკივილი ალაპარაკებს, თორემ გადაჭარბებული ყურადღება უხერხულ მდგომარეობაშიც კი აყენებს.

ეგებ ყველაფერში მართალია, ერთში კი ვერ დავეთანხმებით — ავსა და კარგს ხალხი ერთმანეთში არ აურევს და ყველას თავისას მიუზღავს, სხვა თუ არაფერი, სიყვარულით გადაუხდის სამაგიეროს; ნატო ჩხეიძემ კი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაიმსახურა ეს სიყვარული და პატივისცემა. ამ პატივისცემის დადასტურებაა ის დეპეშაც, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო მან სსრ კავშირის მწერალთა კავშირიდან.

„ძვირფასო ნატალია ნიკოლოზის ასულო, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობა მხურვალედ გილოცავთ დაბადების 60 და ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავს.

თქვენი დაუცხრომელი, ნაყოფიერი მთარგმნელობითი მუშაობა, რითაც ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშები ხელმისაწვდომი გახდა საბჭოთა კავშირის მკითხველთა ფართო წრეებისათვის, აგრეთვე მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი თქვენი სტატიები ემსახურება ჩვენს ქვეყანაში მოძმე ხალხების ლიტერატურათა პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეს, მათ ურთიერთკავშირსა და ურთიერთგამდიდრებას.

სულითა და გულით გილოცავთ, გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას მუშაობაში“.

ნ. ჩხეიძეს ძველებურად მრავალმხრივი ინტერესები აქვს, კვლავ ჩვეული ხალისით აკეთებს ყველაფერს; მას უყვარს და შეუძლია კიდეც თავაუღებელი, დაუღალავი მუშაობა, ამიტომაც გააკეთა ამდენი, ამიტომაც გვპირდება ბევრს ძალიან საინტერესოს და, ვინც იცნობს, სჯერა, რომ ყველაფერს გასწვდება მისი ენერგია, ყველაფერს ეყოფა მისი ენთუზიაზმი.

მედეა ზუგადალაშვილი

10.053

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველი და ქართული მუსიკა

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

„ვეფხისტყაოსანი".

დიდი რუსთაველისათვის მუსიკა უმაღლესი ადამიანური იდეალების მატარებელი ხელოვნება იყო. XII საუკუნეში, „ოქროს ხანის" ეპოქაში, საქართველოს მაღალი მუსიკალური კულტურა ჰქონდა, რომელიც მთელ მსოფლიოს აოცებდა თავისი თვითმყოფადობით.

ორი საუკუნით ადრე, X საუკუნეში, ეკლესიის მსახურმა მიქელ მოდრეკილმა საკუთარი სანოტო, ე. წ. ნევმებთა სისტემა ჩამოაყალიბა და თავისი დროის მრავალი საეკლესიო და საერო სიმღერა ჩაიწერა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ განვითარდებოდა მუსიკალური კულტურა XII საუკუნეში. სამწუხაროდ ამ ხანის მუსიკალურმა ძეგლებმა ისტორიული უბედურების გამო ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

და კვლავ ჩვენი ფიქრი უბრუნდება ეპოქის გენიალურ ძეგლს „ვეფხისტყაოსანს"—მთელი საუკუნის ენციკლოპედიას, სადაც ასე ნათლად გაშუქდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების სურათი.

„ვეფხისტყაოსნის" მიხედვით აღვადგენთ ჩვენ იმ დროის მუსიკალური ცხოვრების სურათს: თამარ მეფის კარის მუსიკა, მუტრიბთა და მგოსანთა ულამაზესი იმპროვიზაციული ხელოვნება, იმ ხანისათვის გავრცელებული ეროვნული საკრავები და ჴარაინდო სიმღერები...

მუსიკის უმაღლეს მოტრფიალედ და მფარველად წარმოგვიდგება „ვეფხისტყაოსანში" დიდი შოთა.

მრავალ ხალხურ სიმღერაში აჟღერდა შოთას გენიალური პოემის უკვდავი სტრიქონები. დიმიტრი არაყიშვილმა ერთი ექსპედიციის დროს ჩაიწერა ქართული სუფრულის იშვიათი ვარიანტი, რომელსაც საფუძვლად ავთანდილის ანდერძი უდევს. მთელ რიგ გურულ სიმღერებში წარმოსახულია თვით შოთას ჴაქმიანობა, მისი მხატვრული სახე.

XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან კი შოთა რუსთაველი და მისი პოემა პროფესიული მუსიკის უშრეტი წყარო გახდა.

ჯერ კიდევ კომპოზიტორ ანდრია ყარაშვილს დაებადა აზრი რუსთაველის პოემისათვის მიემართა. სამწუხაროდ, მას ოპერა „ვეფხისტყაოსანი" დაუმთავრებელი დარჩა. ამრიგად, დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე" პირველი ქართული ლირიკული ოპერაა, რომლის სიუჟეტად კომპოზიტორმა საკმაოდ ცნობილი ხალხური ლეგენდა გამოიყენა.

მაგრამ თვით სიუჟეტი, უფრო სწორად, ლეგენდა, არ გამოირჩეოდა მაღალი მხატვრული ღირსებებით, რამაც, რასაკვირველია, გავლენა მოახდინა მთლიანად ნაწარმოებებზე.

ნიჭითა და მიდრეკილებით დ. არაყიშვილი ლირიკოსი იყო. ტყუილად კი არ არის კამერული მუსიკა მისი შემოქმედების მთავარი ნაკადი: რომანსი, ლირიკული მინიატურები, სადაც კომპოზიტორი ასე თბილად და გამომსახველად ესაუბრება ადამიანს. ოპერებსა და სიმფონიებშიც არაყიშვილი არ ღალატობს თავის თავს. ლირიკული, ინტიმური მას წინა პლანზე აქვს წამოწეული. ამიტომ ოპერაში — „თქმულება შოთა რუსთაველზე" საუკეთესოა ლირიკული ფურცლები. ისინი გულწრფელი, მელოდიურად ლამაზი და ადვილად ასათვისებელია. ისეთი ნაწყვეტები, როგორიცაა: აბდულ არაბის არიოზო, ცნობილი ლირიკული დუეტი, თამარის კავატინა („მისი სახელი თინათინ", „ურმული"), დიდი ხანია გასცილდნენ საოპერო სცენას და დამოუკიდებელი, საკონცერტო ცხოვრება დაიწყეს.

„ვეფხისტყაოსნის" გენიალური აფორიზმები, ჯერ კიდევ ქართული პროფესიული მუსიკის გარიჟრაჟზე, სიმბოლო გახდა ერის ტიპიური თვისებების წარმოსახვისა და განზოგადოებისა.

ჰეროიკულ-პატრიოტული იდეის სწორედ ამგვარი განზოგადოებაა მონუმენტური სახალხო სცენა ზაქარია ფალიაშვილის „დაისის" მეორე მოქმედების ფინალში.

ამ ოპერაში პარალელურად ვითარდება ორი ხაზი: ლირიკულ-დრამატული — პირადული დამოკიდებულება სამი გმირისა და ჰეროიკულ-პატრიოტული — სამშობლოს დაცვის თემა.

საკმარისია გავიხსენოთ, რაოდენ დიად სახალხო სცენად, სტიქიური ძალის სცენად გადაიზრდება მეორე მოქმედების მეორე ნახევარი, — აქ ყოველივე პირადული დავიწყებულია, ყოველგვარი ურთიერთდამოკიდებულება გადატანილია უკანა პლანზე, ახლა მხოლოდ ერთი რამ აწუხებს ყველას: დაიცვან სამშობლო, მისი ეროვნული დამოუკიდებლობა.

„მტერი ბარში გადმოსულა,
დაუთელია სოფლები".

ასისთავი კიაზო კჭვით და შურისიძებით რომ იყო შეპყრობილი, ახლა გულადი მეომარია, მზადაა პირველმა შესწიროს თავი სამშობლოს.

გმირულად გაისმის ძველი ქართული ლაშქრული სიმღერის თემა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ". სულ უფრო ფართოვდება, იზრდება და აი, კულმინაციაც! მაგრამ კულმინაცია მეტად თავისებური, უბრალო, ყოველგვარი გარეგნული, თეატრალური ეფექტების, ცრუ პათოსის გარეშე და ამიტომაც განსაკუთრებით გენიალური თავისი უბრალოებითა და სისადავით:

საგუნდო მასის ამაყი ჟღერადობის შემდეგ, უეცრად ყოველივე მიწყნარდა, გაჰქრა...

ურემზე ადის ასისთავი კიაზო და ჴამარისებურ სიჩუმეში მიმართავს ხალხს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი..."

სწორედ რუსთაველის გენიალურ სტრიქონებს შესწევდა ძალა აესახა ერის სულისკვეთება და სიდიადე...

ახალი ძალით აისახა რუსთაველის პოეტური სახეები ქართულ საბჭოთა მუსიკაში.

კომპოზიტორი შალვა მშველიძე პირველი იყო, რომელიც თამამად შეეჭიდა შოთას ლიტერატურულ სახეებს. ეს ბევრს ავალებდა კომპოზიტორს, მაგრამ გაბედულმა შემართებამ განახორციელა დიდი ხნის ნანატრი ოცნება. ეს გახლდათ ოპერა: „ამბავი ტარიელისა".

კომპოზიტორს განსაკუთრებით იტაცებდა დიადი, ცხოვრებისეული, ერის ისტორიული წარსულის მნიშვნელოვანი ფურცლები. ჰეროიკული თემატიკა მისი შემოქმედების ერთერთი მნიშვნელოვანი ლეიტმოტივია. სწორედ ამგვარ მონუმენტურ-ეპიურ ტილოდ წარმოგვიდგება „ამბავი ტარიელისა". ქართველი საბჭოთა კომპოზიტორის შემოქმედებაში ახლებურად გაცოცხლდა „ვეფხისტყაოსნის" პოეტური სახეები.

შალვა მშველიძისათვის განსაკუთრებით ახლობელი იყო ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის" მონუმენტური სტილი. თავის ოპერაში მშველიძე ახლებურად აღადგენს „აბესალომის" გენიალურ ტრადიციებს, განაზოგადებს ერის ტიპიურ თვისებებს ოპერის საგუნდო ეპიზოდებში. ამავე დროს, ამ ეპიზოდებში შესანიშნავი კოლორიტით არის დაცული რუსთაველის პოემის სურნელება, სტილი, სიდიადე. ეს სიდიადე იგრძნობა არა მარტო საგუნდო ეპიზოდებში, იგრძნობა მოქმედ პირთა დახასიათებებში, რაც ასე გამოკვეთილი, ასე რელიეფურია ოპერაში. აქ ყველაფერი ამაღლებული და განზოგადებულია, სავსეა მაღალი იდეურობით და რომანტიკულობით — ლირიკულიც და დრამატულიც, ნაზი პოეტურიც და ჰეროიკულიც.

გაიხსენეთ, თუნდაც მონუმენტური მეორე მოქმედება — თინათინის გამეფების სცენა, რომელიც თავისი ჰიმნისებური განწყობილებით და

ხასიათით ასე ნათლად და სხარტად წარმოსახავს თამარ მეფის ეპოქის ამაღლებულ სტილს. ოპერის ამაღლებული სტილი განსახიერებულია მოქმედ პირთა, განსაკუთრებით ტარიელის დახასიათებაში.

„ამბავი ტარიელისა“ ქართული საოპერო ჟანრის ახალი ნაირსახეობაა — გრანდიოზული ოპერა-ორატორია,ამასთან აღსავსე შინაგანი დრამატიზმითა და ექსპრესიულობით.

ქართული საბჭოთა მუსიკა გამდიდრდა ვანო გოკიელის ორი სუიტით ქორეოგრაფიული პოემიდან — „ვეფხისტყაოსანი“ და რომანსები რუსთაველის სიტყვებზე, ა. ჩიმაკაძის პროლოგით — „ვეფხისტყაოსნისათვის“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ახლახან შექმნილი დიდი ნაწარმოები — ოთარ თაქთაქიშვილის ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“. ეს ნაწარმოები წარმოადგენს საკმაოდ ორიგინალურ ქმნილებას, როგორც ჩანაფიქრით და იდეური მიმართულებით, ასევე ფორმითაც.

სიუჟეტურ საფუძვლად ო. თაქთაქიშვილის ორატორიას დაედო ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი, რომელიც პოეტმა პალესტინაში მოგზაურობის შედეგად შექმნა.

ო. თაქთაქიშვილმა თავის ნაწარმოებს „სადიდებელი საგალობელი“ უწოდა. ეს ორიგინალური ჟანრი განაპირობებს ნაწარმოების ემოციურ ტონუსს, მთავარ განწყობილებას — ამაღლებულსა და დიადს.

ციკლის თითოეული ნაწილი (ეპიზოდი) ფიქრებია შორეულ წარსულზე, დიდი პოეტის მიერ განვლილ გზაზე, ფიქრები ხან ლირიკულად გაღრმავებული, ხან სევდიან-მედიდური, ხან კიდევ მგზნებარედ ამაღლებული, მაგრამ ყოველთვის სავსე შინაგანი სიმკაცრითა და გრძნობათა სიწმინდით. ეს გახლავთ ეპიური თხრობა, ყოველგვარი გარეგნული ეფექტებისა და თეატრალური ხერხების გარეშე.

თაქთაქიშვილის ეს ორატორია რამდენჯერმე შესრულდა მოსკოვში და აღიარებულ იქნა უაღრესად მხატვრულ და ორიგინალურ ნაწარმოებად.

რამდენიმე წლის წინათ, საბჭოთა კავშირში ფრანგული საბალეტო დასის გასტროლების დროს, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სახეები უკვე კარგა ხანია ხიბლავს მსოფლიოში ხელოვნების ბევრ სხვადასხვა წარმომადგენელს. ცნობილმა ფრანგმა რეჟისორმა სერჟ ლიფარმა მონტე-კარლოში დადგა ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“, კომპოზიტორების: ონერის, ჩერეპნინის და არსანის მუსიკით.

ნესტანის როლს მსოფლიოში სახელგანთქმული ფრანგი მოცეკვავე ქალი ივეტ შოვირე ასრულებდა. მან აღიარა, ეს როლი უსაყვარლესია მთელს ჩემს რეპერტუარშიო. თურმე ეს ბალეტი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ფრანგებს შორის...

საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის შეკვეთით კომპოზიტორმა ალექსი მაჭავარიანმა შექმნა ახალი ქართული ბალეტი — „ვეფხისტყაოსანი“.

რამდენ კომპოზიტორს, რამდენ მუსიკოსს აღაფრთოვანებს შემდგომშიც „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი პოეტური სახეები!

მირა ფიჩხაძე

# ახალი ლექსები

## ნანა ღვინეფაძე

### ერთ ქუჩაზე

სიყრმიდან დამყვა
ფიქრი და ხევდა.
გამიათდება დარდი და
შიში,
აქ რომ გავჩნდები...
ამედევნება დიდხანს
ტკივილად
განათებული სხვისი
ცხოვრება,
განათებული სხვისი
ფანჯრები...

### გამომიტყუა გზამ

გაგაოცებდა, ვიცი,
ჩვენთან შეხვედრა ამ მთაზე;
აღელდებოდა უეცრად
მოგონებათა ზღვა...
მე შენთან კი არ მოვსულვარ,
ჩემს ხეივანში მოვედი,
ყაყაჩოების ძებნაში
გამომიტყუა გზამ...

### ნუთუ

მარტოხესავით წასულხარ შორს,
თავს ვეღარ ართმევ ღრუბელთა ძნებს.
ნუთუ არ გინდა შემობრუნება,
განმეორება შვილად და ძედ?
ნუთუ არ გინდა გენთოს სანთელი
და არ გციოდეს ასე?..
ნუთუ აღარ გაქვს რამე სათქმელი?..

## შოთა ნიშნიანიძე

### ქარი

ეს ორი დღეა მზის მოლოდინში
მთებს მიეძალა ფერები ქარვის,
სახლის კიბეზე სულ უბოდიშოდ
ბოშა ქალივით ჩამოჯდა ქარი.

ფერად ფოთლებში ურევდა ხელებს
უძილარი და გზებზე ნათრევი,
და შემოდგომის ავდრიან დღეებს
მარჩიელობდა ფოთლის კარტებით...

### ა. ს.

სადა ხარ, ბავშვობის მეგობარო,
რატომ მიატოვე საბუდარი?
მგონი, შენზე უფრო მომენატრა
შენი ხორხოცი და საუბარი.

გიყვარდა თბილისის ლუდხანები,
გიყვარდა კინო და სტადიონი.
მაგრამ მოგეძალა მწუხარება,
რაღაც უქეიფოდ დადიოდი.

ბალახი თუ იყო დამნაშავე,
ან სიტკბო ჩვენებურ კილოკავთა?
სოფელი მოგბღაოდა ძროხასავით
და შუბლს ბოჩოლასებრ გილოკავდა.

ბევრი რამ შენი მოყოლილი,
ლამაზი სიცრუით შენაზავი,
ხანდახან მომეჭრება მონღოლივით,
ხანდახან მიალერსებს დედასავით.

ოი, შე სიზარმაცის ბაყბაყ-დევო,
მაინც უნდა გითხრა გამოტეხით:
ვაითუ ლოთობას გადაჰყევი
და ვეღარც სოფელში გამოდექი?

* * *

მე რომ დავიბადე, დღე იდგა ქუში,
იმერეთს ხატავდა ტყემლების ფუნჯი.

ბედი ცვალებადი დამყვა მარტივით,
დამყვა ერთდროულად რთულიც,
მარტივიც.

მაგრამ უცვლელია რატომღაც დღემდის:
ტყემლის სილამაზე... სიმწარეც
ტყემლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გამოხმაურება წერილზე — „ერთი ხაჭაპურის სუფრა“**

# ქართული სუფრის გაყალბების წინააღმდეგ

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის ინიციატივით მრგვალ მაგიდასთან მოწყობილი საუბრის — „ერთი ხაჭაპურის სუფრა“ — მასალებს დიდი ინტერესით გავეცანი.

მე არ გავიმეორებ იმ საინტერესო და საყურადღებო აზრებს ქართული სუფრის ნაკლოვანი მხარეების შესახებ, რომლებიც დროულად და მკვეთრადაა მოცემული ჩვენი მოწინავე და საამაყო ადამიანების — კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო გუდიაშვილის, ლევან გოთუას, ალექსანდრა ჯაფარიძის, თამარ ციციშვილის, ნოდარ ყიფშიძისა და სხვათა სიტყვებში; ბოლოს და ბოლოს, მართლა ხომ უნდა ექნეს დასასრული ქართული სუფრის გაყალბებას?! საჭიროა თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ იმ ბრწყინვალე ტრადიციებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ქართველმა ხალხმა შექმნა ადამიანთა დამეგობრების, ხშირი კონტაქტის აუცილებლობის გამო.

განა სტუმრის პატივისცემაა ის, რომ დაგპატიჟებენ დღის 5 საათისთვის, ხოლო მაგიდასთან 10 საათზე მიგიწვევენ, თან სუფრა 7-8 საათს გაჭიანურდება?

ამაში ხშირად სტუმრებიცაა დამნაშავე. პატიჟებთ 5 საათზე, მოდიან 10-ზე, შეაქვთ მთელი უსიამოვნება და არევ-დარევა სუფრის მსვლელობაში... ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამომუშავდეს ჩვევა: გავუფრთხილდეთ დროს, ნერვულ სისტემას! გიწვევენ 5-ზე, მიბრძანდით 5-ზე. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ღვინის გადაჭარბებულ სმას, წვეულების ზომაზე მეტად გაჭიანურებას. ვილხინოთ, ვიცინოთ, ვიცეკვოთ, ვიმღეროთ, დავტკბეთ ერთმანეთთან საუბრით და დროის მოკლე (2-3 საათი) მონაკვეთში, სიამტკბილობით დავამთავროთ პურობა.

პატივცემულ ლევან გოთუას ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ქართველმა კაცმა სტუმრები რესტორანში მიიპატიჟოს; ჯერ ერთი, არ არსებობს საოჯახო რესტორნები, მეორეც, რესტორანში გამასპინძლება გაცილებით მეტ თანხებს მოითხოვს და ყველას ეს არ შეუძლია, და რაც მთავარია, სულ სხვა ეშხითაა მოსილი ოჯახში მოწყობილი სუფრა, მაშინაც კი თუ სტუმრებს მხოლოდ ჩაით, ნაყინით, ხილით, ხაჭაპურით და ნამცხვრებით გავუმასპინძლდებით.

ავღნიშნავთ კიდევ ერთ დეტალს: მასპინძელი თუ 15 კაცს ელის, რა თქმა უნდა, 50 კაცის სურსათ-სანოვაგე არ უნდა მოიმარაგოს, მაგრამ ტრადიციის მიხედვით 18 კაცის ნორმა მაინც უნდა ივარაუდოს, 2-3 ადამიანი იქნებ ზედმეტად მოვიდეს, ან შემდეგ შემოგესტუმროს.

დასასრულ, ერთხელ კიდევ მინდა მივესალმო ჟურნალ „საქართველოს ქალის“ შესანიშნავ ინიციატივას, რომელსაც მთელმა საზოგადოებრიობამ უნდა დაუჭიროს მხარი.

**გალაქტიონ მინდაძე**

**აღზრდის ხელოვნება**

# ბედნიერი ოჯახი

ოდესღაც მაკარენკოს ერთმა მისმა აღზრდილმა აცნობა, ცოლს ვირთავო. აი, რა მისწერა მას ანტონ სიმონის ძემ:

„ნ.-ს მე კარგად ვიცნობ. თუ შენ მას ნამდვილი ადამიანის ღირსებამდე აამაღლებ, ეს შენი ახალი დამსახურება იქნება... მოხარული ვარ, რომ ნ. შენთან ერთად ივლის ცხოვრების გზაზე. ეს შენი ერთერთი გმირული საქციელია, და მარტო ამით შეიძლება პატივი გცეს ადამიანმა, როგორც ვაჟკაცურ კაცს. მიყვარს ადამიანები, რომლებიც მძიმე საქმეს იდებენ თავზე. გულწრფელად გილოცავთ შენ და ნ.-ს ბედნიერებას და გისურვებთ წარმატებებს ცხოვრებაში. ბედნიერება და წარმატება კი მხოლოდ მაშინ მოდის ადამიანებთან, როცა ისინი ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ ამაზე და უფრო მეტს იღწვიან დიდი ადამიანური საქმეებისათვის“.

დიდი ადამიანური საქმეები! აი, რა ადუღაბებს ოჯახს, რა ჰქმნის მის მოქალაქეობრივ ბედნიერებას. ადამიანები აღარ ცხოვრობენ თავიანთი შეზღუდული ინტერესებით, ისინი მთელი მსოფლიოს ინტერესებით სულდგმულობენ. მათ აღელვებთ სხვა ადამიანების ბედ-იღბალი, მათი მწუხარება და სიხარული. ისინი მონაწილეობენ საზოგადოების ცხოვრების სრულყოფაში, რადგან ესმით, რომ ამაზე ბევრადაა დამოკიდებული მათი პირადი ბედნიერებაც. მეშჩანი და ეგოისტი ვერასოდეს იქნება ნამდვილად ბედნიერი. მის პატარა ბედნიერებას არაფერი მოაქვს ადამიანებისათვის.

ბედნიერი ადამიანი მზადაა გულში ჩაიკრას მთელი ქვეყანა. მას გული უმღერის. მასთან ყოფნა ყველას უხარია, განსაკუთრებით ბავშვებს. უბედური ადამიანი კი ფრთამოტეხილ ფრინველს ჰგავს. არც საქმის კეთების თავი აქვს და ვერც სხვა რამეს უდებს გულს. მუდამ აღელვებულია, გაღიზიანებული. ამ გაღიზიანებას პირველ რიგში მის გვერდში მყოფნი გრძნობენ. მერედა, ვინ არიან მასთან ყველაზე ახლოს? ვინ მოითხოვს მეტ ყურადღებას? რა თქმა უნდა, ბავშვები, სწორედ ისინი ხდებიან უფროსების ცუდი განწყობილების მსხვერპლი.

თუ მშობლებმა ცუდად მოაწყვეს თავიანთი ცხოვრება (ოჯახური ცხოვრების აწყობას კი დიდი ორგანიზატორული უნარი სჭირდება, არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო საკითხების მოსაწესრიგებლად, არამედ ხასიათების, ჩვევებისა და ტრადიციების ჩამოყალიბებისათვის), მაშინ ეს ოჯახი ბედნიერი ვერ იქნება და იქ მუდამ უსიამოვნებისა და გაღიზიანების ატმოსფერო იმეფებს.

იმ ოჯახებში, სადაც მშობლები დღენიადაგ შვილებზე იყრიან თავიანთ ჯავრს, ბავშვები გულჩახვეულები ხდებიან, უხეშდებიან და მომავალში მათთან გულითადი დამოკიდებულების დამყარება შეუძლებელი ხდება.

ოჯახის ბედნიერება მხოლოდ ორი ადამიანის ბედნიერება როდია! ესაა ბედნიერება იმ ადამიანებისთვისაც, ვინც ამ ოჯახთან ახლო ურთიერთობაშია: მშობლებისთვის, რომლებმაც დაქორწინებულები დალოცეს (ჩვენ ათეიზმი ხელს არ გვიშლის კარგი ტრადიციების შენარჩუნებაში) და მეგობრებისთვის, რომლებმაც კიდევ ერთი სახლი ჰპოვეს, სადაც შეუძლიათ მივიდნენ, დაისვენონ, თავისი სიხარული თუ მწუხარება გაანდონ, რჩევა მიიღონ.

ასეთი ტკბილი ოჯახი უცბად შემოიკრებს ხოლმე მასზე „მიმაგრებულ“ ადამიანებს.

ჰოდა, ამ ოჯახში იბადება პირველი ბავშვი, მერე — მეორე. ბავშვები იზრდებიან. და რადგან ისინი, მათდა საბედნიეროდ, ასეთ ხმაშეწყობილ ოჯახში გაჩნდნენ, გაიზრდებიან ბედნიერები, გულთბილნი, ადამიანურნი, ყოველგვარ სიძნელეებს ადვილად გადალახავენ, მტკიცედ გაუძლებენ ცხოვრებისეულ ცთუნებებს. ეს ყველაფერი კი იმის წყალობაა, რომ ბავშვობაში მათ საკმაოდ მიიღეს მშობლიური სითბოს აუცილებელი „კალორიები“. ისინი მშობლების ბედ-

ნიერების სხივებით არიან გამთბარნი და ამიტომ არ გაეთოშებათ სული იმ სიცივისა და უხეშობისაგან, რომელსაც შემდეგ, თავიანთი ცხოვრების გზაზე შეხვდებიან ზოგიერთი ადამიანისაგან. ისინი იოლად გადაიტანენ მიყენებულ ტკივილს, რადგან კარგად, მტკიცედ არიან „გამოწრთობილები".

მშობელთა პირად, ოჯახურ ბედნიერებას რომ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ამაზე ზედმიწევნით უბრალოდ და დამაჯერებლად გვიამბობს მაკარენკო თავის ცნობილ თხზულებაში — „წიგნი მშობლებისათვის".

„სხვათა შორის, თუ მშობლებს სასიამოვნო ცხოვრება აქვთ, დადიან თეატრში, სტუმრად, იკერავენ ლამაზ ტანსაცმელს, ეს კარგი აღზრდაა მათი შვილებისთვის. შვილები უნდა ხედავდნენ, რა მხიარული, ხალისიანი ცხოვრებით ცხოვრობს დედ-მამა. ჩემი აზრით, მშობლების გუნებ-განწყობილება აღზრდის ერთერთი ძირითადი მეთოდია... მიბაძვის მეთოდს ხომ აღზრდაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს! აბა, როგორ უნდა მოგბაძოთ ბავშვმა, თუ თქვენ დღენიადაგ სახე ჩამოგტირით და ისეთი გამომეტყველებით დადიხართ, თითქოს და, აი, მიყურეთ, მსხვერპლად მომაქვს ჩემი სიცოცხლეო..."

თუ სახლში მხიარული გუნებ-განწყობილებაა გამეფებული, ბავშვი ასეთი სახლიდან არსად გაიქცევა. ის კი არა, მისი სახლისკენ მოუწევთ გული მის მეგობრებს, რადგან ისინი მხიარულად და კარგად გრძნობენ თავს ამ ოჯახის სითბოში.

მაგრამ რა საშიშია, როცა ბზარი ჩნდება ამგვარ, თითქოს და ყველას გასახარად შექმნილ ოჯახში! ერთხანს მე სკოლის დირექტორად ვმუშაობდი და თვითონ გავხდი მოწამე ასეთი ტრაგედიისა.

ჩვენს სკოლაში გვყავდა ერთი პირველკლასელი ბიჭუნა — დიმა. ყველაზე მხიარული, სიცოცხლით სავსე ბავშვი იყო მთელ სკოლაში. გარშემო მას სულ ბავშვები ეხვივნენ. ბავშვები დიმასთან კი არა, მამამისთანაც მეგობრობდნენ. მამა — დიმიტრი ალექსანდრეს ძე მოსკოვის ერთერთი დრამატული თეატრის მსახიობი იყო. ო, რა შესანიშნავ ამბებს ყვებოდა დიმას მამა, როცა ბავშვები შეიკრიბებოდნენ! რა თავგადასავლები იცოდა, რა ზღაპრები! ბიჭუნა საუცხოო გმირების ფათერაკებსა და გმირობაზე ფიქრით იძინებდა. თვითონაც საოცარი ფანტაზია და იუმორის გრძნობა ჰქონდა, ადამიანებისადმი კეთილად იყო განწყობილი. ესეც მამისგან დაჰყვა: ის ხომ ისეთი სინაზით ექცეოდა დედას, პატარა, ნაზ ქალს, რომელსაც, ბავშვების მტკიცებით, „ნამდვილი ბულბულივით ხმა ჰქონდა".

ადამიანებს უყვართ მათი სახლი. აქ ხშირად მოდიოდნენ დიმას მეგობრების მშობლებიც. დიმიტრი ალექსანდრეს ძე და მისი მეუღლე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ „ოჯახებით მეგობრობას". მათ თვითონაც სურდათ, ცოდნოდათ, სად დადის მათი შვილი. როცა სტუმრები მათ სახლს ტოვებდნენ, ამბობდნენ:

— დალახვროს ღმერთმა, როგორ მოახერხა ამ ხალხმა, რომ მათ ოჯახში, თითქოს მუდამ სიყვარულის ზეიმია!

როცა ჩვენ, პედაგოგები დიმას დედას ვეკითხებოდით, როგორ აღზარდა ასეთი კეთილი და ზრდილობიანი ბიჭი, ირინა ნიკოლაევნა ხმადაბლა გვეუბნებოდა:

— იცით, ეს სულ მამამისის დამსახურებაა. მე ისეთი არაჩვეულებრივი ქმარი მყავს, რომ მეშინია კიდეც ჩემს ბედნიერებაზე ლაპარაკი. — და ნახევრად ხუმრობით უმატებდა: — ფუი, ფუი, ეშმაკს! არ გავთვალო!

ხოლო თუ ამასვე ვკითხავდით დიმიტრი ალექსანდრეს ძეს, ის გულწრფელად აღიარებდა:

— ჩემი ცოლი ხომ ყველაზე მომხიბლავი ქალია მთელი დედამიწის ზურგზე. ირინა ნიკოლაევნა თვითონაა სიმღერა. ჭკვიანია, მხიარული და არაჩვეულებრივად გულკეთილი. აბა, განა შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო ასეთი დედის შვილი?

მაგრამ, როგორღაც ერთხელ, როცა დიმა სკოლიდან ბრუნდებოდა, თავის წინ მამას და ბორიას დედას მოჰკრა თვალი. მამას ხელმკლავი გაეყარა ქალისათვის და ნაზად იყო მისკენ გადახრილი. როცა დიმა მათ მიუახლოვდა, ჩაესმა: „ხომ არ გცივათ, ჩემო პატარავ?". „ჩემო პატარავ!" რა ხშირად ეუბნებოდა ასე მამა დედას!

ჰოდა, საღამოს, როცა მამა ლოგინზე ჩამოუჯდა, რომ ბიჭისთვის ჩვეულებრივ ძილისპირული ზღაპარი ეამბნა, დიმამ დაუყვირა:

— არ მჯერა შენი ზღაპრების. წადი და ბორკას მოუყევი!

მამა გაწითლდა და საწოლს მოშორდა.

დიმას უკვე აღარავისი სჯეროდა. ბიჭი აღარ კისკისებდა. ახლა ის თითქმის ყველაზე მძიმე და გულჩახვეული ბავშვი გახდა. ნელ-ნელა მას მეგობრებიც ჩამოშორდნენ.

ჩვენ არ ვიცით, რა ხდებოდა იმ დღეებში დიმას ოჯახში. მაგრამ, როგორც ჩანს, ოჯახურმა უთანხმოებამ დიდხანს არ გასტანა. როცა დიმა მეორე კლასში გადავიდა, მას პატარა და გაუჩნდა, რომელსაც დედის პატივსაცემად ირინა დაარქვეს, ისევე, როგორც თავის დროზე მამის პატივსაცემად ბიჭს დაარქვეს დიმა. თითქოს არავითარი ტრაგედია უფროსებს შორის არ მომხდარა.

მაგრამ ამ სევდიანმა ისტორიამ მაშინ ჩვენ, პედაგოგები შეგვაძრწუნა და თვალნათლივ დაგვანახა, რა აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახურ ბედნიერებას. ზოგჯერ, უფროსების ურთიერთდამოკიდებულებაში რაღაც თითქმის უკვალოდ ქრება, მაგრამ ბავშვზე ამ რაღაცამ შეიძლება დამღუპველი ზეგავლენა მოახდინოს და დაუვიწყარი კვალი დასტოვოს მის სულში.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. ჩემს წინ ერთი ბარათი დევს — მოწმობა მეუღლეთა დიდი სიყვარულისა.

„ჩემო! დღეს ორმოცდაათი წელი შეგისრულდა. აი, გაიარა შენი ცხოვრების ორმოცდაათმა წელიწადმა, რომელთაგან ოცდაათი ჩვენ ერთად გავატარეთ.

ჰოდა, იცი, გენაცვალე, ახლაც, როგორც ყოველთვის, მინდა მეათასეჯერ გითხრა: წლები არ აბერებენ! და მტკიცედ მჯერა: ეს მხოლოდ შენი „ბრალია". შენმა მუდმივმა ზრუნვამ ჩვენს სიყვარულზე, შენმა მომხიბლაობამ და მუდმივმა ქალურობამ, შენმა გონიერებამ და ყოველთვის ტაქტიანად გამოხატულმა ნებისყოფამ გაქცია შენ ჩემთვის ყველაზე მომხიბვლელ, ყველაზე საინტერესო ქალად მთელი დედამიწის ზურგზე. მხოლოდ შენ დაეპატრონე მთელ ჩემს გულს და აღარ დამიტოვე ადგილი სხვა ქალებით გატაცებისთვის.

ასე იყო პირველ თვეებშიც, მაშინაც, როცა პირველი ბავშვი გაგვიჩნდა და მაშინაც, როცა სამივე ბავშვი დაგვივაჟკაცდა. ასე იყო იმ დღეებში, როცა ჩვენს ოჯახში მწუხარება გვეწვეოდა, და მაშინაც, როცა მასში სიხარული და წარმატებები იყო.

ამ სტრიქონებს ჩემი ყოველდღიური საქმიანობის დროს ვწერ. სწორედ ახლა გახურებული ბრძოლა მაქვს ჩემი ჰიდროტექნიკური გამოგონებების გამო. ვუყურებ შენს სურათს და ვიმეორებ ჩვენს საყვარელ, ბლოკისეულ სტრიქონებს:

О доблести, о подвигах, о славе
Я забывал на горестной земле,
Когда твое лицо в его простой
оправе
Передо мной сияло на столе.

შენი ი".

წარმოგიდგენიათ, როგორი განწყობილებით შეხვდა ეს ორმოცდაათი წლის ქალი თავისი დაბადების დღეს, ან როგორ ხასიათზე იყვნენ მისი შვილები, რომლებიც გაბრწყინებულ თვალებზე და ქალიშვილივით მსუბუქ ნაბიჯებზე დედას ატყობდნენ, მამის წერილი მოვიდაო.

და კიდევ წარმოიდგინეთ ეს ოცდაათი წელი — 1936-დან 1966 წლამდე: იყო მძიმე შრომა და ომი, განშორებები და ავადმყოფობა, შიში და სასოწარკვეთილება, და გაჭირვება, გაჭირვება... მაგრამ იყო კიდევ ძალიან ბევრი სიყვარული, თანხმობა, ურთიერთრწმენა, დაულეველი ოპტიმიზმი, ვაჟკაცობა და რომანტიკა...

ამ ოჯახის არც ერთ ნაცნობს არ უკვირს, რომ აქ გაზრდილმა ბავშვებმა ცხოვრების საპატიო და მძიმედსავალი გზები აირჩიეს — მათ ბავშვობიდანვე ისწავლეს ზნეობრივი ფასეულობის გაფრთხილება და თვალის მოსატყუებელი ზიზილ-პიპილების უარყოფა.

„კვდება მხოლოდ ცალმხრივი, ყალბი და დროებითი", — წერდა თავის დროზე ა. გერცენი. ბედნიერი ოჯახი კი მრავალმხრივი მოვლენაა, ჭეშმარიტი და მუდმივი. მისი სული და ტრადიციები განაგრძობენ სიცოცხლეს შემდეგ თაობებში და ამაშია სწორედ მისი უკვდავება.

**ელეონორა კუზნეცოვა,**
დოცენტი.

## მშობელთა ავტორიტეტი

ბავშვის აღზრდის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობელთა ავტორიტეტი. თუ მშობელს ავტორიტეტი არა აქვს, ის ბავშვს ვერ აღზრდის ღირსეულ მოქალაქედ და ვერც ოჯახს წარმართავს წესიერად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვისათვის მშობელი ავტორიტეტს წარმოადგენს უკვე იმ პერიოდიდან, როცა ის გონში შედის და ოდნავი გაგება მაინც აქვს გარემოსი და თავისი მშობლისა. ბავშვი უკვე გრძნობს მშობლის სიყვარულს, მის ტკბილ ალერსს და ასევე პასუხობს გამოუთქმელად, მიმიკით. ვინ არ იცის, რომ მისთვის დედის მკერდი მყუდრო სავანეა და საიმედო თავშესაფარი. და თუ ვინმე მოინდომებს დედას გამოართვას, თუნდაც სულ ცოტა ხნით, ის ტირილით შეძრავს იქაურობას. ეს კი მწვავე განცდის ნიშანია.

თანდათანობით დამოკიდებულება მშობელთან უფრო ვითარდება, მშობლის ავტორიტეტი უძლეველად აღიმართება შვილის თვალში. ბავშვს ის ყოვლიშემძლედ წარმოუდგენია. ვის არ უნახავს, რა მოზეიმე იერი აქვს პატარას, როცა ის დედ-მამასთან ერთად მიდის. რა თამამად და ლაღად მიაბიჯებს. რომ იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად...

ბავშვს მშობელი ყოვლისმცოდნედ წარმოუდგენია, როგორც კი ენას გაიტეხავს, მერე ყოველდღიურად ათეულობით კითხვით მაინც მიმართავს დედ-მამას: „ეს რა არის!“ „ის რა არის!“ „რატომ?“, „როგორ?“, „საიდან?“ შემდეგ და შემდეგ კი იმასაც დაუკვირდება, თუ ვინ როგორ პასუხობს და განუმარტავს ამ შეკითხვებს, რამდენად მიმზიდველია განმარტება, ამომწურავი, რა უპირატესობა აქვს ერთს მეორესთან.

თუ მშობელმა ხშირად უპასუხოდ დატოვა ბავშვის შეკითხვა, ან, არ ვიციო, უპასუხა, ბავშვი იმდენს იაზრებს, რომ აღარ მიმართოს მას და სხვა გზას გამონახავს.

თუ მშობელი ბავშვის რომელიმე შეკითხვას ვერ უპასუხებს იმიტომ, რომ თვითონ არ არის პასუხისათვის მომზადებული, უმჯობესია, პასუხის გაცემა შემდეგისათვის გადადოს. უხეირო განმარტება და შეუფერებელი პასუხი ბავშვზე ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს, შეიძლება ზიანიც მიაყენოს, დიდხანს ან სამუდამოდაც დარჩეს მის მეხსიერებაში.

მშობელი უნდა იცნობდეს ბავშვის ბუნებას, მის სამყაროს. სხვა შემთხვევაში ის ვერ გადაწყვეტს ბავშვის მიერ აღძრულ საკითხს მართებულად, მისი ინტერესებიდან, მისი განვითარების სტადიიდან გამომდინარე.

ამრიგად, ბავშვის მიერ დასმულ შეკითხვას მშობელი მთელი სერიოზულობით უნდა მოეპყრას. უნდა ახსოვდეს, რომ მისი ავტორიტეტი შვილის თვალში დიდადაა დამოკიდებული ამ პასუხზე.

მშობელი უნდა არჩევდეს მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს, იცოდეს, როდის როგორ იმოქმედოს. მშობლის ალღოსა და ორიენტირებას ბავშვის აღზრდის საქმეში უთუოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აღმზრდელობითი საქმის მცოდნე მშობლის სიტყვა, როგორც იტყვიან, ძირს არ დავარდება.

მშობლის ავტორიტეტისათვის ძალიან საზიანოა მერყეობაც. აღსაზრდელები დავალებულ საქმეზე გულიანად ვერ იმუშავებენ, თუ მშობელი მერყევია, არა აქვს მტკიცე შეხედულება საგნებსა და მოვლენებზე და ხან ასე გადაწყვეტს საქმეს, ხან ისე.

ზოგჯერ დედა ან მამა ერთმანეთთან ჩივის: ბავშვმა არაფერი შემისრულა, არ გამიგონაო და სხვა. ეს ორმაგი შეცდომაა: ჯერ ერთი, დაბეზღება ცუდი მაგალითია აღსაზრდელისათვის. მეორე მხრივ კი, ეს აშკარად მათ სისუსტეზე მეტყველებს და დაუშვებელია ავტორიტეტიანობის თვალსაზრისითაც. სუსტი მშობელი ბავშვისათვის დაძაბუნების მაგალითია და მის თვალში შთამაგონებელ ძალას ჰკარგავს.

მაგრამ ეს ყველაფერი იმას არ ნიშნავს, რომ თუ ერთმა მშობელმა ცუდი რამე შენიშნა აღსაზრდელში, მეორეს უნდა დაუმალოს. პირიქით, მათ ერთად უნდა იმსჯელონ და დასახონ გზები ამ ნაკლის გამოსასწორებლად, ოღონდ ეს ყველაფერი ბავშვის დაუსწრებლად უნდა ხდებოდეს.

მშობელმა აღსაზრდელს ჯანსაღი, მშვიდობიანი და მყუდრო გარემო უნდა შეუქმნას. ოჯახური დრამა, მშობლების ნერვიულობა სახიფათოა და დიდად მოქმედებს ბავშვის სულიერ განწყობილებაზე. ხშირად ეს იწვევს გულის აცრუებას სწავლაზე, ბავშვის ქუჩაში გავარდნას და სხვა სამწუხარო ამბებს.

აღსაზრდელი უფროსს მით უფრო აფასებს, რამდენადაც მას, მშობელს, დაფასება და პატივისცემა აქვს საზოგადოებაში. ბავშვი ასეთ რამეს აკვირდება და ამჩნევს, უხარია და თვითონაც ცდილობს ამ კარგში მიბაძოს.

ავტორიტეტიან მშობელს შეუძლია ბავშვის ფიზიკური ძალა გამოიყენოს საოჯახო საქმიანობაში ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს სასკოლო მეცადინეობას. მაგალითად, მას შეუძლია დაიხმაროს უფროსი ასაკის ბავშვი უმცროსის აღზრდაში, მისცეს მარტივი დავალებები. მართალია, ბავშვის გადატვირთვას მშობელი უნდა ერიდებოდეს, მაგრამ განებივრებაც არანაკლებ დაუშვებელია. ორივე შემთხვევაში ზომიერების დაცვა გვმართებს.

მშობელი და მასწავლებელი აღმზრდელები არიან, მათი ერთობლიობა აღზრდის საქმეში აუცილებელია. ყოველ მშობელს ეს რწმენად უნდა ექცეს. მშობელი მასწავლებლის დაუხმარებლად მარტოხელად ითვლება. იგივე ითქმის მასწავლებელზეც.

მშობელი, პირველ ყოვლისა, თვით უნდა იყოს ზრდილობიანი ადამიანი და კარგი მოქალაქე, რომ მისი შემცვლელი ღირსეული მოქალაქე აღზარდოს. ყოველ ადამიანს მხოლოდ ის შეუძლია დანერგოს, განავითაროს, რაც მასში არის, რის შეძლება მას აქვს. ამაზე უთქვამს დიდ რუსთაველს: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდებისო“.

მშობლის მოქმედება ყოველთვის მოფიქრებული უნდა იყოს. ის დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს. უნდა ახსოვდეს, რომ მას შეჰყურებენ აღსაზრდელები, აკვირდებიან, სწავლობენ მისგან, იმახსოვრებენ, მის საქციელსა და მაგალითზე იზრდებიან.

მშობელი უნდა აწრთობდეს აღსაზრდელს სულიერად და ფიზიკურად. ის მოვალეა შვილს ჩაუნერგოს შრომისმოყვარეობა, კოლექტიურობის გრძნობა. ესეც პირად მაგალითზე უნდა ხდებოდეს.

**ლეონტი ლაგარტყავა,**
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

# გამოიწრთვეთ ორგანიზმი

ყოველ ქალს აქვს სურვილი და მისწრაფება იყოს ჯანმრთელი, ტანადი, ფლობდეს მოხდენილსა და ნარნარ მოძრაობებს. ყველაფერი ამის მიღწევისათვის საუკეთესო საშუალებაა ფიზიკური ვარჯიში; ბუნების გამაჯანსაღებელი ფაქტორების — ჰაერის, წყლის, მზის — სისტემატური და გეგმაზომიერი გამოყენება ორგანიზმის გაკაჟების მიზნით.

ქვემოთ მოცემულია რჩევები ორგანიზმის გაკაჟების საშუალებათა გამოყენების შესახებ, ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომრებში კი მოგაწოდებთ ყოველდღიურ ვარჯიშთა კომპლექსების ნიმუშებს ახალგაზრდა და ხანშიშესული ქალებისათვის.

ორგანიზმის გამოწრთობის მიზნით უნდა მივმართოთ გამაკაჟებელ საშუალებებს, რაც ადამიანს გამოუმუშავებს გარემოს ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებისადმი შეგუების უნარს. გამოწრთობილი ადამიანები არ ხდებიან ავად ე. წ. „გაციებით“ გამოწვეული დაავადებებით (გრიპი, ზემო სასუნთქი გზების კატარი, ფილტვების ან ტვინის გარსის ანთება და სხვ.), ისინი გამოირჩევიან განსაკუთრებული ამტანობითა და შრომისუნარიანობით.

ბუნების გამაჯანსაღებელი ფაქტორებიდან ზამთრის პირობებში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და ხელმისაწვდომია ორგანიზმის გამოწრთობა ცივი წყლის მეშვეობით.

წყლის პროცედურებს ვიწყებთ ტანის სველი ტილოთი დაზელვით. პირველ ხანებში ტანი უნდა დავიზილოთ ნელთბილ წყალში დასველე-

ბული უხეში ტილოთი. ამასთან პირველი პროცედურის დროს მიზანშეწონილი არ არის მთელი ტანის დაზელვა. პირველ ხანებში უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მკლავების დაზელვით, შემდეგში მკლავების დაზელვასთან ერთად ვახდენთ ფეხების დაზელვას, მერე ზედა ტანისა და ბოლოს, მთელი ტანის დაზელვას. როცა შევეჩვევით ნელთბილ წყალში დასველებული ტილოთი დაზელვას, ვიწყებთ წყლის ტემპერატურის თანდათანობით დაქვეითებას — ყოველი სამი დღის შემდეგ ნახევარი ან ერთი გრადუსით. ასე უნდა დავიყვანოთ წყლის ტემპერატურა 12-10 გრადუსამდე.

დაზელვა (ტანზე სველი ტილოს გასმა) უნდა ხდებოდეს პერიფერიიდან ცენტრისკენ (გულისკენ). მაგალითად, მკლავზე ტილოს გასმა უნდა ხდებოდეს თითებიდან მხრისაკენ, ფეხზე — თითებიდან მენჯისაკენ და ა. შ. დაზელვის შემდეგ ტანი კარგად უნდა გავიმშრალოთ პირსახოცით.

წყლის პროცედურის მეორე სახე არის ტანზე წყლის გადავლება. ამ სახის პროცედურებსაც თანდათანობით უნდა შევეჩვიოთ. ჯერ წყალი ნელთბილი უნდა იყოს, შემდეგ კი მისი ტემპერატურა თანდათანობით უნდა დავაქვეითოთ. წყლის გადავლების შემდეგ აუცილებელია ტანის გულმოდგინე გამშრალება მშრალი პირსახოცით. ტანი უნდა გავიხეხოთ კანის გაწითლებამდე.

**დ. ჟვანია,**
საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი.

# სხვადასხვა

ოხრახუში არომატს უკეთესად შეინარჩუნებს, თუ მას თბილ წყალში გავრეცხავთ.

*

კიტრი დიდხანს შეინახება ცოცხლად, თუ მას ყუნწით ცივ წყალში ჩავუშვებთ და ყოველდღე გამოვუცვლით წყალს.

*

კარტოფილი ბევრად გემრიელი იქნება, თუ მოხარშვისას ქვაბში ცოტა კამას ჩავუმატებთ.

*

ყავას შესანიშნავი არომატი ექნება, თუ მას მოხალვის შემდეგ სამი დღის განმავლობაში შევინახავთ მჭიდროდ თავდახურულ ლითონის ყუთში.

*

მოხარშული თევზი ძალიან ნაზი გამოვა და სპეციფიკური სუნიც აღარ ექნება, თუ ხარშვისას ქვაბში ჩავუმატებთ რძეს.

*

თუ ქვაბს წინასწარ წყალს გამოვავლებთ, რძე ძირზე აღარ მიიწვება.

*

ჭურჭელს რომ თევზის, მჟავე კომბოსტოს ან ნივრის სუნი მოვაცილოთ, ჯერ ცხელი წყლით უნდა გავრეცხოთ, მერე კი — ძმარნარევი წყლით. თუ დანა-ჩანგალს უდის თევზის სუნი, ლიმონის ქერქით უნდა გავწმინდოთ და უსიამოვნო სუნი გაქრება.

*

თუ შეწვის დროს ხახვს შაქრის ფხვნილს მოვაყრით, ის დაიბრაწება და გემრიელი გამოვა.

*

თუ მდოგვს ცხელ რძეში გავხსნით, ის კარგად შეინახება და დიდხანს არ გახმება.

*

პირშუშხა ადვილად გაიხეხება, თუ მას ერთი ღამით ცივ წყალში ჩავაწყობთ.

დანაყილ ორცხობილაში ამოვლებული ხორცის ნაჭრები შეწვისას ლამაზ ოქროსფერს მიიღებს, თუ ორცხობილაში ამოვლებამდე მას გათქვეფილ კვერცხის გულში ჩავაწყობთ.

*

თუ სამზარეულოში კომბოსტო იხარშება და უსიამოვნო სუნი ტრიალებს, სუფთა ტილოს ნაჭერი ძმარში დაასველეთ და ქვაბის სახურავს ზემოდან დაახურეთ. სუნი გაქრება.

# გამოჩენილი ადამიანები ქალების შესახებ

საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილისა, დიაღ, ესმოდეს დედაკაცს, შვილი როგორ აღზარდოს შინ, ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში, რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდან მას შეუძლია დაამხოს ერი და კიდეც აღადგინოს.

ვაჟა ფშაველა

მე ვლაპარაკობ, რასაკვირველია კარგ დედებზე, როდესაც ვამბობ რომ ვაჟებისათვის უფრო სასარგებლოა თავიანთ ინტიმურ მესაიდუმლე მეგობრებად დედები ჰყავდეთ.

ნ. ჩერნიშევსკი

ქალები გვმართავენ ჩვენ. შევეცადოთ ავიყვანოთ ისინი სრულქმნილებამდე: რაც უფრო მეტი ეცოდინებათ მათ, მით უფრო მეტად სრულქმნილნი ვიქნებით ჩვენც. ქალის გონების განვითარებაზეა დამოკიდებული მამაკაცის სიბრძნეც.

რ. შერიდანი

ბავშვების დედა არის ოჯახის დედა, მაგრამ ოჯახის დედები იმავე დროს არიან ერის დედებიც.

მ. ნალბანდიანი

ქალიშვილის აღზრდა იგივეა, რაც საზოგადოების აღზრდა, რადგან საზოგადოება გამომდინარეობს ოჯახიდან, რომლის სული ქალია.

ჟ. მიშლე

თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგას და, თუ დაბლად არიან, ხალხის ცხოვრებაც იცარება და ეს უეჭველად ასეც უნდა იყოს, რადგანაც ქალია ბურჯი და ქვაკუთხედი, როგორც კერძო ოჯახის, ისე საზოგადოსიც ე. ი. მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოსი. ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს.

ა. წერეთელი

ქალების სიყვარულს ჩვენთვის უდიდესი, უბადლო მნიშვნელობა აქვს, ის ემსგავსება მარილს ხორცისათვის: მსჭვალავს რა გულს, იცავს მას გახრწნისაგან.

ვ. ჰიუგო

დედაკაცი მუდამ დარჩება მამაკაცისათვის ბურჯად უბედურებაში და კეთილმრჩევლად სიძნელეებში. ბედნიერებაში და ვარამში დედაკაცი ივლის მამაკაცთან ხელიხელჩაკიდებული და იქნება მისი ერთგული თანამგზავრი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

რ. თაგორი

მოგვეცით უკეთესი დედები და ჩვენც უკეთესი ადამიანები ვიქნებით.

ჟან პოლი

არის ხოლმე საგნები, რომელთაც ქალის თვალი ყოველთვის უფრო სწრაფად ჩასწვდება, ვიდრე მამაკაცთა ასი თვალი.

გ. ლესინგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუბადებლის დღიური

5 ოქტომბერი. დღეს დაიწყო ჩემი ცხოვრება. ამის შესახებ ჩემმა მშობლებმა ჯერ არაფერი იციან. მე სულ პაწაწინა ვარ, ვაშლის თესლზე უფრო პატარა, მაგრამ უკვე ვარსებობ და, თუმცა ჯერ არ ჩამოვყალიბებულვარ, მაგრამ ვიცი, რომ გოგონა ვიქნები.

19 ოქტომბერი. ცოტა გავიზარდე, მაგრამ მაინც პატარა ვარ და არაფრის გაკეთება არ შემიძლია. ყველაფერს დედა მიკეთებს. ყველაზე სასაცილო კი ისაა, რომ დედას წარმოდგენაც არა აქვს, რომ აქ ვუზივარ, გულთან ახლოს. არც ის იცის, რომ საკუთარი სისხლით მკვებავს.

23 ოქტომბერი. მალე ჩემი პირი ფორმას მიიღებს. წარმოგიდგენიათ? დაახლოებით ერთი წლის შემდეგ სიცილს შევძლებ. ცოტა მოგვიანებით ლაპარაკს დავიწყებ. ისიც ვიცი, რა სიტყვას წარმოვთქვამ პირველად: „დედა". ვინ ამბობს, რომ მე ჯერ ნამდვილი ადამიანი არა ვარ? მე უკვე ადამიანი ვარ, ისევე, როგორც პურის პაწაწა ნამცეცი მაინც ნამდვილად პურია.

27 ოქტომბერი. ჩემი გული ახლა სრულიად დამოუკიდებლად ძგერს. ამიერიდან ეს ნაზი გულისცემა გამყვება მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. მერე, მრავალი წლის შემდეგ, ის დაიღლება და შეჩერდება. და მე მოვკვდები. მაგრამ დასასრული ჯერ შორსაა. ეს მხოლოდ დასაწყისია ჩემი ცხოვრების.

12 ნოემბერი. ახლა ხელებიც მიყალიბდება. რა ერთი ციცქნებია, საოცარია პირდაპირ! იქნებ, ოდესმე ამ პაწია ხელებმა ვიოლინოზე დაუკრან ან სურათი დახატონ.

20 ნოემბერი. ექიმმა დღეს პირველად უთხრა დედას, რომ მე აქ, მისი გულის ქვემოთ, ვცხოვრობ. ბედნიერი ხარ, ჩემო დედიკო? დრო გავა და მკლავებში ჩაგიგორდები.

25 ნოემბერი. ჩემმა დედ-მამამ ჯერ ისიც არ იცის, რომ მე პატარა გოგონა ვარ. იქნებ, ისინი ბიჭს ელოდებიან? ან ტყუპებს? დამაცადონ, როგორ გავაოცო.

10 დეკემბერი. ჩემი სახე უკვე გამოიკვეთა. იმედი მაქვს, დედას დავემსგავსები.

13 დეკემბერი. ახლა თითქმის უკვე ვხედავ. მაგრამ ჩემს ირგვლივ ისეთი უკუნია! მალე ჩემი თვალები მზით გახჩირვობნებულ სამყაროს დაინახავენ. ნეტავ, შენ როგორი ხარ, დედიკო?

24 დეკემბერი. დედა, მე მესმის შენი გულისცემა. საინტერესოა, შენ თუ გესმის ჩემი? ნეტავ, როდის მოვესწრები იმ დღეს, როცა შენს მკლავებზე ნებივრად გაწოლილი, სახეზე ხელებს მოგიცაცუნებ და თვალებში ჩაგხედავ? შენც ხომ მელი, დედიკო?

28 დეკემბერი. დედა! რატომ მიეცი მათ უფლება, რომ მოვეკალი? იცი, რა კარგად ვიქნებოდით ერთად...

ბ. შვაბი,

ინგლისური ჟურნალიდან — „რიდერს დაიჯესტ".

## მოდის „ბიურო"

ეჰ, მოდას მართლაც რომ ვერასოდეს დაეწევი! სულ ახლახან არ ასხამდნენ ხოტბას რბილ, მომრგვალებულ ხაზებს, ქალურ სილუეტს, ვოლანებს, არშიებს, ნატურალური აბრეშუმის რბილ ქსოვილებს, გამჭვირვალე შიფონს? მოდა, აგერ, უცბად სულ ახალი მიმართულება გაჩნდა — „გეომეტრიული" კვადრატები, სწორკუთხედები, რომბები მთელი კაბის სიგრძეზე, სხვა ფერის ქსოვილის ზოლები...

ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" რედაქციამ სთხოვა საკავშირო მოდელების სახლის მხატვარს ტატიანა ოსმერკინას დაემუშავებინა ჟურნალისათვის ახალი მიმართულების მოდელი და მისი თარგიც.

მთლიანი კაბის ქსოვილი ლურჯი ფერის შალია, ჩადგმული ოთხკუთხედი კი — წითელი შალი. თუ ამ კაბის შეკერვა მოისურვეთ, დაიხსომეთ, რომ თარგზე გაანგარიშებული არ არის გვერდითი ნაკერებისათვის საჭირო ქსოვილი. თუ ქსოვილის სიგანე 80 სმ-ია, მაშინ № 46 ზომისა და მესამე სიმაღლის კაბას დასჭირდება 2 მ და 80 სმ, ხოლო თუ ქსოვილი 140 სმ სიგანისაა, მაშინ 1 მ და 80 სმ. ცალკე სწორკუთხედისათვის საჭიროა 40 სმ სხვა ფერის ქსოვილი (ამ შემთხვევაში — წითელი). ეს სწორკუთხედი ზევიდან დაგვირისტდება კაბაზე.

კაბა გაწყობილი იქნება თეთრი აბრეშუმის ოთხმაგი თამასით — ესეც გვირისტით მიმაგრდება.

ოღონდ, ძვირფასო მკითხველებო, დაიხსომეთ ერთი რამ: ეს კაბა და აგრეთვე ის მოდელები, რომლებსაც ჩვენ მხოლოდ ნახატებით გთავაზობთ, მოუხდება მხოლოდ ახალგაზრდა და თხელი ტანადობის ქალებს.

შეცდომის გასწორება:

ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის № 8-ში დაშვებულია კორექტურული შეცდომები. მე-14 გვერდზე ლექსის — „ფარძის ექო" — პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „აქ ლურჯი ზეცის მიყვარს ყურება", მე-22-ე გვერდზე ლექსის — „ლხინის იერი" — ბოლო სტრიქონი კი — „შნო, იერი და დამამშვენი".

გარეკანზე — „მოსავლის აღება". მხატვარი დ. ხაშელიშვილი

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/IX-66 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ტირაჟი 70.000, შეკვ. 2948 უე 11875 ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საშემოდგომო მოდები

ამ შემოდგომაზე მოდაშია როგორც სწორი და ბოლოში ოდნავ გაფართოებული პალტო, ისე კლოშიც პალტოს ზედა ნაწილი ძირითადად თავისუფალი ფორმისაა. „გეომეტრია" პალტოებსა და კოსტუმებშიც შეიჭრა.

ლამაზია და ორიგინალური საყელოები (თქვენ მათ ხედავთ ნახატებზე). სახელოები — მთლიანგამოჭრილიც და მიდგმულიც — სამაჯეებს გარეშეა. მოდაშია პალტოების გაწყობა გვირისტით, თამასით, კლაპანიანი ჯიბეებით.

ფეხსაცმელი? მართალია, ჩვენში ჯერ კიდევ უყვართ ვიწროცხვირიანი და წვრილქუსლიანი დახვეწილი ტუფლები, მაგრამ ზოგი უკვე უპირატესობას ანიჭებს შედარებით დაბალ და გამსხვილებულქუსლიან, მოხერხებულ დახურულ ან ნახევრადდახურულ ფეხსაცმელს.









